ალექსანდრე პოტიომკინი
(თარგმანი მაყვალა გონაშვილის)

მ ო თ ა მ ა შ ე

ფანტასმაგორია

პიესა ორ მოქმედებად

(დოსტოევსკისთან კავშირი არ აქვს)

თბილისი 2022

მოქმედი პირები:

იური ალტინოვი - ავანტიურისტი, მანიაკალური აზარტული მოთამაშე

იულია ბოიაროვა - ალტინოვის თანამგზავრი მატარებლის კუპეში, 20 წლის

ესთერ დიუკრო - ბოიაროვას მეგობარი, თანამგზავრი კუპეში

ლიუბოვ პოგონია - მატარებლის გამცილებელი

იანა ვრუბელსკაია – ახალგაზრდა ქალბატონი, 23 წლის

ალექსეი პიროჟკოვი - პროვინციული თეატრის მხატვარი

კაცი ფუნთუშით - 50 წლის

გეორგ ფერაპონტოვი - თაღლითი

თამარა ზლატკისი - თაღლითი

სამველა - მატარებლის მგზავრი, ბიზნესმენი

სპარტაკი - მატარებლის მგზავრი, ბიზნესმენი

ნიკანორ პუგოვკინი - ჩინოვნიკი

მეპატრონე – ორი ახალგაზრდა გოგონას მფლობელი ალტინოვის კუპედან

მცველი

მატარებლის უფროსი

სუტირინი

ახალგაზრდა კაცი პენზას სადგურზე

ტოტალიზატორის „ექსპრეს ფსონების“ მონაწილენი

სპექტაკლის მოვლენები მიმდინარეობს მატარებელში „მოსკოვი-როსტოვის“ მიმართულებით მსვლელობისას. მოქმედებები ვითარდება მატარებლის სხვადასხვა ნაწილში, ოთხადგილიან კუპესა და პრემიუმ კლასის კუპეში, ვაგონის კორიდორში, ასევე ვაგონ-რესტორანში. გმირები რამდენჯერმე აღმოჩნდებიან სადგურის ბაქანზე და მხოლოდ ერთხელ ვიხილავთ რუსეთის პროვინციელი არტისტის ოთახს.

პირველი მოქმედება

მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი. ნათდება ოთხადგილიანი კუპე, რომელშიც შედიან იური ალტინოვი ქეისით და მატარებლის გამცილებელი.

ლიუბოვ პოგონია: - აი, ჩემო ბატონო, მეექვსე კუპე, ქვედა თარო, ოცდამეერთე ადგილი. თქვენ ადრე დახურული ვაგონით მგზავრობდით, რა სჭირს საფულეს?

ალტინოვი: - არა, საფულეში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხანდახან, ხომ იცი, ხალხთან სიახლოვეც საჭიროა, მათთან დიდხანს დაშორებაც არ ივარგებს, უნდა იცოდეთ, რითი სუნთქავენ.

ლიუბოვ პოგონია: - ჰო, რა თქმა უნდა.

ალტინოვი: - მე კი შენ მახსოვხარ, (უყურებს სამუშაო კიტელზე დამაგრებულ ბროშზე წარწერას) დიახ, დიახ, ლიუბოვ პოგონია, შენ თავად რატომ აღარ ემსახურები პრემიუმ კლასის ვაგონს?

ლიუბოვ პოგონია: - ხომ იცით, ბედი როგორ ათამაშებს ადამიანს, არაფერია, აქაც შეიძლება მუშაობა, ზოგჯერ ოთხადგილიან კუპეს ორი ადამიანი ყიდულობს, ზოგჯერ ერთმაც კი შეიძლება შეიძინოს, ასე უფრო მოსახერხებელია, თუ ბევრი ფულია, თავს ინებივრებენ.

ალტინოვი კუპეში რჩება და თავისთვის იწყებს საუბარს.

ალტინოვი: - თავში მარკუს ავრელიუსის ფრაზა მიტრიალებს: რა არის მანკიერება? სწორედ ის, რაც თავადაც არაერთხელ განგიცდია. დიახ, საკუთარ თავშიც არაერთხელ ვხვდებოდი მანკიერების ცოდვიან ანარეკლს, მაგრამ სწორედ ის შთამაგონებს, მაძლევს ენით აღუწერელ სიამოვნებას. და როგორ შეიძლება იყოს ცუდი ჩვევა ის, რაც ჩემში შემოქმედებით ალღმაფრენას აცოცხლებს? ძალიან მინდა ისევ გამოვიჩინო ჩემი ნიჭი...

ამ დროს კუპე იხსნება და გამცილებელი ორ ახალგაზრდა ქალს შემოუძღვება:

ლიუბოვ პოგონია: - მეოთხე ადგილი ჯერ არ არის დაკავებული (ალტინოვს თანამგზავრებზე მიუთითებს და „შენობით“ მიმართვაზე გადადის) რა იღბლიანი კაცი ხარ, ალტინოვ, წინ გრძელი გზაა. აბა გოგოებო, კომფორტულად მოეწყვეთ.

გამცილებელი გადის. მგზავრებს ჩემოდნები შემოაქვთ და კუპეს იკავებენ. ალტინოვი გალანტურად ეხმარება ქალბატონებს. უცებ კუპეში მამაკაცი შემოიჭრება, მხარზე სამგზავრო ჩანთა გადაუკიდია, ხელში სოსისიანი ფუნთუშა უჭირავს და დაურიდებლად იღეჭება.

კაცი ფუნთუშით: - ოცდამეოთხე ადგილი ჩემია!

ალტინოვი: - უცნაურია. ორი წუთის წინ მსგავსი განცხადებით უკვე ორი მგზავრი მოვიდა. მატარებლის უფროსთან წავიდნენ, რათა გაეგოთ, რომელი იყო მართალი.

კაცი ფუნთუშით: - რა ვქნა? თქვენი რომელი ადგილებია? იქნებ თქვენ ყველა უბილეთო მგზავრები ხართ?

ალტინოვი: - ჩვენთან ყველაფერი რიგზეა! და თქვენ იჩქარეთ მატარებლის უფროსთან და განუცხადეთ ამ ადგილზე თქვენი უფლება.

კაცი ფუნთუშით: - გამცილებელი რა, მატყუარაა? ბილეთის მიხედვით მან სწორედ აქ გამომიშვა.

ალტინოვი: - გამცილებელმა რა იცის. გადაწყვეტილებას მატარებლის უფროსი იღებს. შენი კონკურენტები აქ ხმის ჩახლეჩამდე კამათობდნენ.

კაცი ფუნთუშით: - მატარებლის უფროსი რომელ ვაგონშია, იქნებ ვინმემ მითხრას!

ალტინოვი: - მერვეში, იჩქარეთ!

კაცი ფუნთუშით ჩქარა ტოვებს კუპეს.

ალტინოვი (მიმართავს ქალბატონებს): - როგორ მოგმართოთ?

უმცროსი ქალბატონი: - იულია ბოიაროვა.

უფროსი ქალბატონი: - ესთერ დიუკრო.

ალტინოვი: - იური ალტინოვი. თანახმა ხართ იაფფასიანი ძეხვის მოყვარული სხვა კუპეში, მატარებლის შემდეგ ვაგონში გადაიყვანონ? ოც დოლარად, ვფიქრობ, ამ პრობლემას მოვაგვარებ.

ბოიაროვა: - წინააღმდეგი არ ვარ.

დუკრო: - სცადე.

ალტინოვი: - კარგი, ძვირფასო ქალბატონებო! წავალ ჩვენი გეგმის შესასრულებლად. ცუდი ტიპია, აშკარად არაა ჩვენი თანამგზავრი.

ნათდება გამცილებლის კუპე. ალტინოვი და პოგონია

პოგონია: - (ათვალიერებს ორმოცდაათდოლარიან კუპიურს) - რაში გჭირდება ფულის ფლანგვა? ნუთუ ორივეს ერთდროულად გაუწევთ კავალერობას? ჰო, კარგი, ერთი ორმოცდაათიანი მატარებლის უფროსსაც მიეცი, მოგაცილებთ იმ მეკალბასეს და არ დაივიწყო, ბიჭო, ლიუბოჩკა, ბევრი რუსი ქალის მსგავსად, ისიც სიამოვნებით სვამს ცქრიალა შამპანურს, შავ შოკოლადთან ერთად და არც ამარეტოზე ამბობს უარს.

ალტინოვი: - ჰო, ყველაფერი იქნება, შამპანურიც, შოკოლადიც, ამარეტოც, მაგრამ კავალერობას ნამდვილად ვერ გაგიწევ, ძვირფასო, ხომ ხედავ, დაკავებული ვარ.

პოგონია: - ე, ღმერთმა იცის. შესაძლოა გზაზე უფრო მეტი ხეირიც ვნახო, თუმცა გული მეუბნება, რომ მარტო მომიწევს ამ ღამის გათენება.

სანამ ბატონი ალტინოვი არ დაბრუნებულა, ვიღაც ჯენტლმენი შედის ახალგაზრდა ქალბატონებთან. ეს მათი მფლობელის დაცვაა, რომელიც გვერდით მგზავრობს. რაღაცაზე ჩურჩულით, ნაჩქარევად საუბრობენ, რის შემდეგაც მცველი კუპეს ტოვებს. ქალბატონები მრავალმნიშვნელოვნად უცქერიან ერთმანეთს. სწორედ ამ დროს ალტინოვიც ბრუნდება.

ალტინოვი: - გავაგრძელოთ ჩვენი გაცნობა. მე ბაკულევის სახელობის ინსტიტუტის გულ-სისხლძარღვთა კლინიკის ქირურგ-ორდინატორი ვარ. გულის თანდაყოლილი მანკის მკურნალობა...

ამ დროს კარზე კაკუნი ისმის. კუპეში შუახნის მამაკაცი შემოიხედავს, ხელში კარტით, ეს ფერაპონტოვია.

ფერაპონტოვი: - იქნებ კარტით შევიქციოთ თავი? არავინაა თამაშის მოყვარული... წინ გრძელი, მოსაწყენი გზაა.

ექიმი: - ჩვენ არ ვთამაშობთ კარტს.

ფერაპონტოვი: - სულ ადილად ისწავლი „დურაჩკას“, მარტივი თამაშია, მაგრამ კარგად გავერთობით, (კაცი კუპეში შედის) მე თქვენი მეზობელი ვარ, გეორგი მქვია. მოდი, ვითამაშოთ!

ალტინოვი: - მე ამ მშვენიერ ქალბატონებთან ურთიერთობას ვამჯობინებდი.

ფერაპონტოვი: - კარტის თამაში უფრო აზარტულს გახდის თქვენს საუბარს.

ალტინოვი: - ოჰ, არ ვიცი! როგორ ფიქრობ, იულია, კარტის თამაში ჩვენს ურთიერთობას ახალ იმპულსს შემატებს?

დიუკრო: - ჩვენ არ ვითამაშებთ.

ბოიაროვა: - იური, გვაჩვენეთ თქვენი შესაძლებლობანი. (იულია აშკარად სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ალტინოვის მიმართ.)

ალტინოვი: - ორში საინტერესო არ იქნება.

ფერაპონტოვი: - მესამესაც ვიპოვით!

ფერაპონტოვი სწრაფად გადის.

ალტინოვი: - მაშ, თქვენ მირჩევთ ვითამაშო? (ეკითხება ახალგაზრდა ქალებს).

დიუკრო: - თქვენი საქმის თქვენ იცით!

ბოიაროვა: (ალტინოვის მიმართ ინტერესი მასში ემოციებს აღვიძებს) - ჩვენ თქვენ გიჭერთ მხარს.

ალტინოვი: - მაგრამ მე ბანქოსი არაფერი გამეგება, ყველაფერს წავაგებ, რაც მაქვს. კარგი ექიმი ცუდი მოთამაშეა, თუმცა ბედს ვერ გაექცევი.

ბოიაროვა: (გამამხნევებელი ტონით) - ეცადე გაიმარჯვო.

ქალბატონი ხელში კარტით შედის კუპეში. ეს არის ზლატკისი, ოცდაათ წლამდე ქალი. ის ბოიაროვს მიუჯდება გვერდით და ირგვლივ მიმოიხედავს. მას უკან მოჰყვება გეორგი.

ზლატკისი: - (მხიარული ტონით) მე მიყვარს აზარტული თამაში, ყველას მოგესალმებით!

ფერაპონტოვი: - ახლა უკვე სამნი ვართ. რა ვითამაშოთ?

ალტინოვი: - „დურაკას“ ვაპირებდით.

ფერაპონტოვი: - მოსაწყენი თამაშია, არანაირი ექსპრესია არ აქვსმ. როგორ მოგწონთ "ტრიადა"? ეს თამაში ასევე ცნობილია, როგორც "სამი ფურცელი", "სეკა", "ლიალ-ლაბი". კარგი გასართობია, სწრაფი, მხიარული...

ზლატკისი: - მე თანახმა ვარ (ალტინოვს) შენ რას იტყვი?

ალტინოვი: - კარგად არც კი მახსოვს მისი წესები...

ზლატკისი: - არაფერია, ახალბედებს ბედი სწყალობთ, და რა არის მინიმალური ფსონი ერთ ხელზე?

ალტინოვი: - ფულისთვის უნდა ვითამაშოთ?

ზლატკისი: - ფულის გარეშე ინტერესიც არ ექნება, დოლარი ერთ ხელზე, იაფია, მაგრამ მაინც საწყენია...

ფერაპონტოვი: - კარგი! (და ბარათების არევას იწყებს.) - მაგრამ ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ. მე ვარ გეორგ ფერაპონტოვი. სოჩაში მაქვს ბიზნესი,სასტუმრო „ჟემჩუჟნაიაში“ მაქვს სილამაზის სალონი, ქალბატონისკენ იხრება) თამარა ზლატკისს სანაპიროზე ვინ არ იცნობს, ის ჩემი ბიზნეს პარტნიორია.

ალტინოვი: - მშვენიერია! და მე იური ალტინოვი ვარ. მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის ქირურგი. ეს ახალგაზრდა ქალბატონები კი ჩემი თანამგზავრები არიან.

დიუკრო: ჩვენ მასთან საერთო არაფერი გვაქვს.

ზლატკისი: - (მოუთმენლად) - დაარიგეთ ფერაპონტოვ!

თამაში იწყება რომელიც პანტომიმით ხორციელდება, რომელსაც მოთამაშეთა შეძახილები ახლავს: "ოცდაერთი," "პირველი ცხენი ჩემთან", "სამი დოლარი", "ხუთი", "ორმოცი", მე დავბრუნდი, „ვალეტი“, დამა, ყვავის მეფე“. ფსონად დადებული დოლარების გროვა იზრდება.

ზლატკისი: - რას აკეთებთ ალტინოვ? რატომ ხსნით თქვენს კარტს?

ალტინოვი: - მე, მე კარგად არ მახსოვს თამაშის ...

ფერაპონტოვი: - უნდა გახსოვდეთ, თორემ ბუმბულიც აღარ შეგრჩებათ.

ბოიაროვა: - ალტინოვ, ძვირფასო, შეეცადეთ!

დიუკრო: - (გაკვირვებით)-ძვირფასო?

ალტინოვი: - (უსუსურად) - ვცდილობ...

ისევ მოთამაშეთა შეძახილები, მღელვარება იზრდება.

ზლატკისი (მოზეიმე ტონით) - მე ორი ტუზი მყავს!

ალტინოვი (პაუზის შემდეგ): - მე ორი ტუზი და... ჯოკერი.

ზლატკისი: - შეუძლებელია!

ალტინოვი: - აი, ნახეთ (უჩვენებს კარტს) - ჩემი მოგება ხუთიათას შვიდას სამოცდათერთმეტი დოლარია. (ფულს მოხვეტავს და ჯიბეში ინახავს).

ფერაპონტოვი: - ეს უსამართლობაა!

ალტინოვი: - არა, სწორედაც რომ სამართლიანია.

უკვე სიტყვის თქმას ძალაც აღარ შერჩენიათ დამუნჯებული ფერაპონტოვი და ზალტკისი, კუპიდან კინწისკვრით გარბიან.

ბოიაროვა: - (აღფრთოვანებით) - ისინი თაღლითები არიან?

ალტინოვი: - რა თქმა უნდა, ისინი კვლავ დაბრუნდებიან. აი, ნახავ!

ბოიაროვა: - და თქვენ როგორ...

ალტინოვი: - სიყმაწვილიდან კარტი არ მითამაშია, მაგრამ ჩვენ ქირურგებს უტყუარი ინტუიცია გვაქვს. სხვათა შორის, ათი პროცენტი თქვენია. ლამაზი ქალის მხარდაჭერამ შთამაგონა გამარჯვება. (იულიას თანხას გადასცემს. ის ყოყმანობს, შემდეგ კი ფულს ჩანთაში ინახავს.)

დიუკრო (მკაცრად): - იულია!

ალტინოვი: - დაგტოვებთ, მცირე ხნით (კუპედან გამოდის).

დიუკრო: - ფული რატომ გამოართვი? ის თავად არის თაღლითი.

ბოიაროვა: - შეიძლება, მაგრამ გასაოცარი შესაძლებლობები აქვს. და საერთოდ...

გამცილებლის ოთახი ნათდება. იქ არის პოგონია, ალტინოვი სწრაფად შემოდის და დოლარებს გამცილებელს აწვდის.

ალტინოვი: - სასწრაფოდ მჭირდება ვინმე უპრინციპო ლამაზმანი, ას დოლარად შეგიძლიათ მოიწვიოთ მის მიჩურინსკი ან მის მილეროვო? ის უნდა წარსდგეს ჩემს წინაშე ყველაზე წრფელი ხასიათით.

პოგონია: - მსახიობი გინდა თუ მეძავი?

ალტინოვი: - სამსახიობო ოსტატობის მქონე კურტიზანი.

პოგონია:- უახლოეს სადგურზე ასეთი არავინაა.

ალტინოვი: - და შემდეგ გაჩერებაზე?

პოგონია:- „მილეროვო"... ასი კილომეტრის შემდეგაა.

ალტინოვი: - შეგიძლია ეს საქმე მოაგვარო?

პოგონია: - ოხ, კიდევ ასი დოლარი დაამატე!

ალტინოვი: - უარს ვერაფერზე გეტყვით. გთხოვ, ჩამკეტე შენს კუპეში, მინდა გონება მოვიკრიფო.

პოგონია: - ნეტავ კიდევ რა ჩაიფიქრე?

ალტინოვი: - ვფიქრობ, ესე იგი ვარსებობ, არ მახსოვს რომელმა კლასიკოსმა ბრძანა, ჩაკეტე კუპე, პოგონია!

პოგონია მხრების ჩეჩვით, გარეთ გადის და კუპეს კეტავს. ალტინოვი იღებს მობილურს და კრეფს ნომერს.

ალტინოვი: - დიახ, მე ვარ, მატარებლიდან გიკავშირდებით. ყურადღებით მისმინეთ. ჩვენ გვჭირდება განკარგულება შიდა სარკინიგზო რადიო კომუნიკაციისთვის შემდეგი შინაარსით: ტექნიკური პრობლემების გამო, ყველა მატარებელმა ლისკის სადგურის შემდეგ მოსკოვის მიმართულებით უნდა გაიაროს შემდეგი მარშრუტით: პოვაროვო, - პენზა, - კრასნი უგოლ, - არზამას, - ნიჟნი ნოვგოროდი, - მოსკოვი. ბრძანება ძალაში რჩება გაუქმებამდე. რკინიგზის სამინისტროს ცენტრალური კონტროლის მორიგე ოფიცერი, პოლკოვნიკი ნ. ვიტიუტენი. ათი ათას დოლარს გადავიხდი რუსეთის რკინიგზის კომპიუტერულ ქსელში შესვლისთვის და კიდევ ათი ათასს ცენტრალური დისპეტჩერული სამსახურის ზარისთვის როსტოვ-მოსკოვის მატარებლის მარშრუტის შეცვლის ბრძანებით. ქალაქ სულინამდე მობილური კავშირი მუშაობს, შემდეგ ის გამოირთვება ლიხაიას სადგურზე, ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში კომუნიკაცია შეწყდება. ახლა ჩვიდმეტი საათი და ხუთი წუთია, ცხრამეტ საათსა და ოცდახუთ წუთამდე ის იმუშავებს სადგურ „როსსოშამდე“, და ეს არის ოცდაორი, ნოლ ხუთი, ლისკში მივალთ ოცდასამი, ოცდახუთზე, ჩვენ უნდა მოვასწროთ. ჩვენ უნდა გადავუხვიოთ: პოვაროვო, პენზა, არზამასი, ნიჟნი“. და კიდევ: გვჭირდება მღვდელი. არა, არ მოგესმათ, დიახ, მატარებელში, ერთ-ერთ უახლოეს სადგურზე. სასურველია პენზაში. ყველა მომიკითხეთ!

გამცილებლის კუპეში შუქი ბაცდება და იკვეთება ალტინოვის კუპე.

დიუკრო: - აბა, რას იტყვი, მეგობარო? რა ტიპია ეს ალტინოვი? შეიძლება მართლაც ექიმია, მაგრამ ნამდვილი გაიძვერაა. არ მიყვარს ასეთი მოლაქლაქე კაცები, შენ კი, ვხედავ, მოხიბლული ხარ მისით, არ დაგავიწყდეს ჩვენი მთავარი ბიზნესი, ახლა ჩვენი ბატონიც გამოჩნდება, უნდა ვაღიარო, ჩვენი თანამგზავრის გატაცებული ხარ.

ბოიაროვა: - არ ვიცი, რა ვთქვა. ისე მოიქეცი, როგორც შენი სინდისი გკარნახობს, არ მინდა რაიმეში გამოგიტყდე, ყველაფერი ადამიანური ხომ შენთვის უცხოა, თითქოს დაპროგრამებული რობოტი ოყო. დიახ, ჩვენ გვაქვს მითითებები, ტვირთი ვორონეჟში უნდა ჩავიტანოთ. მატერიალური საჭიროების გამო რაზე აღარ გვიწევს დათანხმება, მაგრამ მე არ მინდა გავხდე პროფესიონალი, გამოვიმუშაო ჩემში სპეცკურიერის თვისებები, ჩვევები, აზროვნება. პროფესია მოითხოვს დაფიქრებასა და დაეჭვებას. მე მხოლოდ ერთ მოგზაურობაზე დავთანხმდი. ათ საათში ვორონეჟია, მერე ნახვამდის, ისევ დავთანხმდები? ვინ იცის, შეიძლება კი, შეიძლება - არა! მგონია უფრო, არა!

მობილური ტელეფონი რეკავს.

დიუკრო: დიახ, გაიგეთ, ჩვენს კუპეში ბანქოს თამაში რომ გააჩაღეს?

ხმა ტელეფონში: - სულაც არაა ცუდი. ყურადღების გასაფანტად, დარწმუნებული ვარ თაღლითები ისევ დაბრუნდებიან, შენ გარკვევით აჩვენე, რომ თქვენსა და ექიმს შორის არანაირი კავშირი არაა, უბრალოდ თანამგზავრები ხართ. თამაშში არანაირი მონაწილეობა არ მიიღოთ!

დიუკრო: - მესმის!

ხმა ტელეფონიდან: - ქირურგს თვალს ვადევნებ. უცნაური არსებაა. კარგად. მე ყოველთვის თქვენთან მიგულეთ.

კუპეში ბრუნდება ალტინოვი.

ალტინოვი: - მოიწყინეთ?

ბოიაროვა: - დიახ.

ალტინოვი: - სხვათა შორის, სად მიემგზავრებით?

დიუკრო: - სულ არაა საჭირო ამის შესახებ იცოდეთ.

ბოიაროვა: - ესთერ, ბატონ ალტინოვს შეუძლია გამცილებელთან მისვლა და ჩვენი მარშრუტის გაგება, ვორონეჟში მივდივართ.

ალტინოვი: - როგორ თუ ვორონეჟში?

ბოიაროვა: - დიახ, რა არის აქ უცნაური?

ალტინოვი: - მე მეგონა თქვენ მოსკოვში მიდიოდით.

კუპეზე დააკაკუნეს და ზღურბლზე გამოჩნდნენ ფერაპონტოვი და ზლატკისი.

ფერაპონტოვი: - დააბრუნე თანხა, ქირურგო!

ალტინოვი: - ასე არ იქცევიან, მე სამართლიანად გავიმარჯვე.

ზლატკისი: - სამართლიანად თუ უსამართლოდ, ფული დაგვიბრუნე! თუ არა და, დაგვერხა და ეგაა!

ალტინოვი: - კვალიფიციურმა მოთამაშემ უნდა იცოდეს ვისთან ჯდება სათამაშოდ, კარგი, მოვიფიქრებ, აქ დამელოდეთ!

ალტინოვი სწრაფად ტოვებს კუპეს და მიდის ტუალეტში, რომელიც იქვე ნათდება, ალტინოვი ხსნის ტუალეტის ქაღალდს, კეცავს და რაღაც მანიპულაციას აკეთებს. შედეგ პატარა შეკვრას ცელოფანის პარკში ახვევს და საფულეში დებს, რომელსაც შარვლის უკანა ჯიბეში ინახავს. შემდეგ მიდის გამცილებელთან.

ალტინოვი: - ლიუბაშა, ძვირფასო, ჩვენს კუპეში ისეთი უჰაერობაა, როგორც კასრში, აჰა, შენ ათდოლარიანი, გთხოვ, გახსენი ფანჯარა (კუპეში დაბრუნებული უცქერის თაღლითებს, რომლებსაც თავი სევდიანად დაუხრიათ).

ბოიაროვა: - მიეცი მათ ფული, იური. ხედავ რა ხალხია.

ფერაპონტოვი: - კეთილი გოგო, სამართლიანი გოგო.

ალტინოვი: - შენი გულისთვის, იულია.

ზლატკისი: - მისი გულისთვის, მისი გულისთვის...

კუპეში გამცილებელი შედის.

პოგონია: - ჰაერი თქვენთან, პირდაპირ რომ გითხრათ დახუთულია. (აღებს სარკმელს) ასე უკეთესია.

ალტინოვი: - მიმიშვით სარკმელთან იულია, მაშ თქვენ გსურთ ამ ვაჟბატონებს დავუბრუნო მოგებული თანხა?

ბოიაროვა: (დაძაბულად) - მინდა.

ალტინოვი: - კარგი. ახლა მილეროვოს სადგურს ვუახლოვდებით. გავდივართ ორას მეხუთე კილომეტრს. კიდევ ორი კილომეტრი და სადგურია. ზოგიერთი ექიმი თვლის, რომ ფიზიკური დატვირთვა კრეტინიზმის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა. აი, მატარებელმა უკვე შეანელა სვლა. (ალტინოვი უკანა ჯიბიდან ცელოფანის პაკეტს იღებს და მთელი ძალით აგდებს ფანჯრიდან.) დაე, შეეცადონ მის პოვნას, ეს არც ისე რთულია, ცოტა ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს, ფეხით ერთი-ორი კილომეტრის გავლაა საჭირო. აბა, კარგად, პარტნიორებო.

თაღლითები გასასვლელისკენ გარბიან. მატარებელმა სვლა შეანელა და მილეროვის სადგურის პლატფორმას მიუახლოვდა.

ალტინოვი: - კმაყოფილი ხართ ჩემით, იულია? (და სწრაფად ტოვებს კუპეს, მას უკან ბოიაროვა მიჰყვება.)

ვაგონის დერეფანი განათებულია. მატარებელი გაჩერდა.

ბოიაროვა: - აღიარე, ალტინოვ, ფული არ გადაგიგდია, ხო ასეა, შენნაირ ადამიანს სხვა უფრო ორიგინალური ნაბიჯი უნდა გადაედგა.

ალტინოვი: - მე თქვენ შემიყვარდით. თქვენ არამარტო ლამაზი ხართ, არამედ ჭკვიანიც, სწორედ თქვენნაირი ქალი მჭირდება. მღვდელი უკვე მოვიწვიე მატარებელში.

ბოიაროვა: - არ მესმის ...

ალტინოვი: - ჯვარი რომ დაგვწერონ, ერთი თვით, ნახევარი წლით?

ბოიაროვა: - თქვენ რა, გაგიჟდით?

ალტინოვი: - მე ბედნიერი ვიქნები თქვენთან ერთად გავატარო თანაცხოვრების ასი დღე... გულწრფელად ვაღიარებ, მთელი ცხოვრება ვერ გავჩერდები ერთ ადამიანთან. შენთან ერთად ასი დღე ჩემთვის ნამდვილი ბედნიერება იქნებოდა.

ბოიაროვა: - ვერაფერი გავიგე, მეხუმრებით?

ალტინოვი: - სულაც არა, უარს ნუ მეტყვით ძვირფასო იულია, ჩემი სიყვარული თქვენდამი უფრო და უფრო ძლიერდება.

ბოიაროვა: - ასეთი მოულოდნელი შეთავაზება, მაცადეთ, ცოტა დავფიქრდე...

ალტინოვი: - შეყვარებული ვარ. კარგად დაფიქრდით, კუპეში წავალ. თქვენი მეგობარი ალბათ ცნობისმოყვარეობით კვდება.

ალტინოვი კუპეს მიაშურებს.

იულია: - (მას მიჰყვება). - მე თანახმა ვარ!

ალტინოვი: - მომწონს სწრაფი გადაწყვეტილებები.

ჩაეხუტება იულიას. ასე გადახვეულები შედიან კუპეში. კუპე განათებულია და ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ესთერის გარდა, არის ახალი მგზავრი, იანა ვრუბელსკაია, ეფექტური მშვენიერ ქალი, გამომწვევად ჩაცმული. ალტინოვმა ეს გამცილებლის მეშვეობით შეუკვეთა.

იანა ვრუბელსკაია (ალტინოვს): - დაბრძანდით ჩემთან, რა საინტერესო მამაკაცი ხართ. გავიცნოთ ერთმანეთი? მე ვარ იანა ვრუბელსკაია.

ალტინოვი: - ძალიან კარგი! მოსკოველი ექიმი იური ალტინოვი.

ბოიაროვა: - იულია.

დიუკრო: - ესთერი.

ვრუბელსკაია: - ქალებთან ნაცნობობა მე არ მაინტერესებს. თქვენთან ურთიერთობის არავითარი სურვილი არ მაქვს. მე ეს სიმპათიური მამაკაცი მიზიდავს. მოგტაცებთ, ჩემთან ურთიერთობის შემდეგ, ის საბოლოოდ დაივიწყებს, რომ ქვეყნად სხვა ქალებიც არსებობენ. (ალტინოვს). მანახეთ თქვენი ხელისგული, გიმკითხავებთ.

დიუკრო (თავშეკავებით): - შეგიძლიათ მეც მიმკითხაოთ?

ვრუბელსკაია: - მე ახალგაზრდა ქალბატონებს არ ვმარჩიელობ, რაში გამომადგება, საამისოდ ფული სად გაქვთ? შენ კი, შავთვალა, ხელისგულზე ასი დოლარი დადე.

დიუკრო: - ასი დოლარი! დიახ ის…

ვრუბელსკაია: - ჩამოდი, ჩამოდი ას დოლარიანს (ალტინოვი ფულს აძლევს) კარგად მისმინე, ვხედავ ხანმოკლე, მაგრამ ნათელ, საინტერესო ცხოვრებას. აი, შეხედეთ ხაზი იშლება და შემდეგ არის ბორცვი და პატარ-პატარა ხაზები. თქვენ გაქვთ მძაფრსიუჟეტიანი ბედისწერა დონ-ჟუან. ხელისგული რბილი გაქვთ, როგორც ახალგაზრდა ქალბატონს, თითები გრძელი და მოქნილი, როგორც პიანისტს. თქვენ შემთხვევით არტისტი ხომ არ ხართ?

ალტინოვი: - აკი გითხარი, ექიმი, ქირურგი...

ვრუბელსკაია - არა, თქვენ არტისტს გავხართ. ასეთი ლამაზი სახით, მოელვარე თვალებით, ასეთი მგრძნობიარე, ნაზი ხელებით მხოლოდ არტისტი შეიძლება იყოს. და თანაც, მდიდარი ხართ. მომეცით კიდევ ასი დოლარი და მე ყველაფერს გიამბობთ, თუ რა ცეცხლი ტრიალებს თქვენს სულში. იქნებ ქალბატონებმა დაგვტოვონ ერთი საათით. მოვასწრებთ ვნების ქარბორბალა დავატრიალოთ. ვხედავ, ვნებიანი მამაკაცი ხართ.თქვენი მოელვარე თვალები ცეცხლს მიკიდებენ. თავს ვეღარ ვიკავებ, მეშინია მოწმეების თანდასწრებით სასიყვარულო რომანსი არ აღმომხდეს. უთხარით, არტისტო, ცოტა ხნით მაინც დაგვტოვონ მარტო. მიეცი მათ ფული, რომ რესტორანში დაბრძანდნენ და ღვინო დალიონ. ან კიდევ უკეთესი, იქირავეთ ჩვენთვის ერთი კუპე. რელსებზე მოქანავე ბრობლები მეცხრე ცაში აგვაფრენენ. იჩქარეთ, არ ინანებთ, დიდ ფულს დამახარჯებთ. ჩემი მკერდი ისეთივე მყარია, როგორც ჩოგანის ბურთები. ფეხები კი რკინიგზის ლიანდაგებივით გრძელი. მათგან თავს ვერ დააღწევთ, არ გაგიშვებენ.

ალტინოვი: - მალე ქორწილი მაქვს. მართლმადიდებლობის კანონი არ მაძლევს უფლებას, ჩემი მომავალი ცოლი მოვატყუო. რა ვუთხრა ჩემს შეყვარებულს? არ შემიძლია, ვნებიანო ქალბატონო, შენთან ვერ ვიქნები.

ვრუბელსკაია: - სულელი ყოფილხარ. კარგად დაფიქრდი, სადგურ „როსოშამდე" სამოცდაათი კილომეტრია. არ გამოტოვო შენი ვარსკვლავური საათი.

ალტინოვი: - ქალზე უარის თქმა ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ვაი, რომ ჩემი ცეცხლოვანი...

ვრუბელსკაია: - შენი ვერაფერი გამიგია, მარგამ კარგი! კიდევ ასი დოლარი დამიმატე, რომ კონიაკი „ჰენესით“ სულის ტკივილი დავიამო. (ალტინოვი ფულს გადასცემს.) ნება მომეცით ერთხელ მაინც ჩაგეხუტოთ, ოღონდ არა როგორც ძმას, არამედ როგორც საყვარელს. კარგი, რაც არის, არის, მშვიდობით ლამაზო, წავედი რესტორანში. ორმოც წუთში გავფრინდები შენგან, ღმერთმა ქნას, მარადიულად არა.

ექსტრავაგანტული ქალბატონი კუპეს ტოვებს.

ალტინოვი: - მე გაგაცილებთ.

და ის ტოვებს კუპეს, თან მიჰყვება დიუკროსა და ეჭვიანობით დაბნეული ბოიაროვას მკაცრი მზერა. ვაგონის კორიდორი ნათდება, სადაც პირისპირ რჩებიან ვრუბელსკაია და ალტინოვი.

ვრუბელსკაია: - აბა, როგორია?

ალტინი: - შესანიშნავია, უმაღლესი კლასი!

ვრუბელსკაია: - თანხის დასაბრუნებლად გამომყევით? გინდათ მითხრათ, რომ ჩვენ ასე არ შევთანხმებულვართ? მაგრამ ლამაზო, როცა როლში შევდივარ, ეს ჩემდაუნებურად ხდება. თანახმა ვარ დაგიბრუნოთ თანხის ნაწილი.

ალტინოვი: - მე ამ საკითხის განხილვას არც კი ვაპირებ.

ვრუბელსკაია: - მაშ რა გინდა? როგორც ვხვდები, შენ კმაყოფილი ხარ ჩემი საქმიანობით.

ალტინოვი: - მომეწონა თქვენი პროფესიონალიზმი. ნამდვილი მსახიობი ხართ. მე შეიძლება შენთვის სამსახური მქონდეს, მაგრამ მას სექსთან საერთო არაფერი აქვს.

ვრუბელსკაია: - სექსთან კავშირი არ უნდა ჰქონდესო, ეს რა დამოკიდებულებაა? ნუთუ ასე აფასებთ ჩემს შემოქმედებით პოტენციალს? თუმცა, კარგი ანაზღაურებისთვის სექსის გარეშეც შემიძლია ვიმუშაო. პროვინციებში შემოსავალი ძალიან მწირია, და რა უნდა ვაკეთო?

ალტინოვი: - შემოქმედებით საქმიანობას გთავაზობთ! ამოიღეთ ხმა და შეასრულეთ როლები.

ვრუბელსკაია: - ვინ არის პიესების ავტორი? ბერნარდ შოუ, მოლიერი, ანტონ ჩეხოვი, ჰერმან ჰესე? მოსკოვის სამსახიობო სკოლაში გავეცანი ამ ავტორებს.

ალტინოვი: - იური ალტინოვი.

ვრუბელსკაია: - უკაცრავად, ეს ავტორი რაღაც არ მეცნობა. ვინ არის? რომელი ეპოქის, რა ჟანრის?

ალტინოვი: - მე ვარ, ეპოქა - დღეს, ახლა, ჟანრი - სათავგადასავლო ფანტაზიები, თეატრალურ-პოეტური ხერხების ფინანსურ რესურსებად გარდასახვა.

ვრუბელსკაია: - მშვენიერია! დიდი ხანია ვოცნებობდი ასეთ ავტორთან შეხვედრაზე. ტრადიციული სცენა პროფესიონალებს შიმშილის მეტს არაფერს პირდება. სად არის თქვენი თეატრი?

ალტინოვი: - იყო როსტოვში. ახლა ის მოსკოვში გადადის.

ვრუბელსკაია: - დასი დიდია?

ალტინოვი: - ვქმნი კამერულ თეატრს. ავტორი და რეჟისორი ერთი იქნება, სცენაზე მუდმივად ორი არტისტი დგას, დანარჩენი - გარემოებების მიხედვით. ფინალურ სცენებს ყოველთვის მე ვასრულებ.

ვრუბელსკაია: - და როგორია ანაზღურება?

ალტინოვი: - ხუთ-ექვსნიშნა რიცხვები!

ვრუბელსკაია: - რუბლებში?

ალტინოვი: - დოლარებში.

ვრუბელსკაია: - ოჰ, რა სასწაულია! რამდენ ხანს გრძელდება ერთი პიესა?

ალტინოვი: - რამდენ ხანსაც უფალი ინებებს.

ვრუბელსკაია: - რითი ვიცხოვრო ფინალურ სცენამდე? პროფკავშირები დაინგრა. არც უმუშევრობის შემწეობაა.

ალტინოვი: - ყოველთვიურად ფიქსირებული განაკვეთი გექნებათ. ათასი დოლარი, პლიუს ოროთახიანი ბინა. მძღოლი გამოძახებით!

ვრუბელსკაია: - მშვენიერია, არც კი მჯერა, ასი, ორასი დოლარის გამომუშავებას ვფიქრობდი, თქვენ კი მდიდრულ ცხოვრებას მპირდებით. მოდით გულწრფელად მითხარით! რა ხდება? სად იმალება ძაღლის თავი?

ალტინოვი: - პირად ცხოვრებაში.

ვრუბელსკაია: - ეს როგორ გავიგოთ?

ალტინოვი: - უკვე გითხარი, არავითარი სექსი.

ვრუბელსკაია: - დიახ, მესმის, მესმის ... მაგრამ შენ, ალტინოვ, ნამდვილი ურჩხული ხარ, მე ქალი ვარ, მე მხოლოდ ოცდასამი წლის ვარ. რა იქნება თუ…

ალტინოვი: - მხოლოდ ჩემი თანხმობით. ახლა შენ მე მთლიანად მეკუთვნი, სულით, სხეულით. ასეთია ჩვენი პროფესიის არსი, როცა რეჟისორი გაძლევს როლს რომ უნდა მოხიბლო ვინმე ბანკირი, აი, მხოლოდ მაშინ ხარ ვალდებული, აჩუქო მას შენი სხეული. სიყვარული? დაივიწყე ეს სიტყვა ორი წლით. მე

გადავწყვიტე თქვენთან ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმო, ყოველგვარი ადვოკატებისა და ნოტარიუსების გარეშე.

ვრუბელსკაია: - როდის არის პირველი სამუშაო დღე?

ალტინოვი: - დღეს! აი, მიიღეთ ათასი დოლარი! (გადასცემს ფულს).

ვრუბელსკაია: - არა, უფროსო, არ ავიღებ. ღამით მილეროვის სადგურში უნდა დავბრუნდე. იქ დაცვის სამსახური დამხვდება, თუ შემამოწმებენ, შეიძლება ცუდად დასრულდეს საქმე. მოდი, ასე მოვიქცეთ, მე ჩამოვალ მოსკოვში და იქ ავიღებ პირველ ხელფასს. სალარო 12 ივნისიდან დაიწყებს მუშაობას.

ალტინოვი: - თანახმა ვარ, მოვილაპარაკეთ. აი, ჩემი სავიზიტო ბარათი და შენიც დამიტოვე. ისე, სინამდვილეში რა გქვია? ყველაფერი დამიწერე შენს შესახებ.

ვრუბელსკაია: - ნამდვილად იანა ვრუბელსკაია ვარ. დავამთავრე როსტოვის მუსიკალური კოლეჯი ფორტეპიანოს კლასში და ვორონეჟის თეატრლური კოლეჯი. პრაქტიკები მოსკოვში გავიარე, თუმცა ამის შესახებ უკვე გითხარით. აბა კარგად, შეფ! დამირეკეთ, თორემ ვიფიქრებ რომ მომატყუეთ. დამიჯერეთ, მწარედ ვიტირებ. ცოტა ხანს რესტორანში დავჯდები.

ვრუბელსკაია მიდის. ალტინოვი კი საპირისპირო მიმართულებით წავა. მას სამსახურეობრივი კუპედან გამცილებელი ლიუბა პოგონია ეძახის, რომელიც მარტო ჩამომჯდარა მაგიდასთან და ნელა წრუპავს ამარეტოს.

პოგონია: - როგორაა შენი საქმეები ალტინოვ? ყველა მდიდარი მგზავრი მშვიდად ზის კუპეში, სვამს ძვირადღირებულ სასმელს და ლამაზ ქალბატონებს ესაუბრება, შენ კი ქარბუქივით დაჰქრი, აჰ, ისეთი ახალგაზრდა ქალბატონი მოგიყვანე, თვალს ვერ მოწყვეტ, ევროპული სტანდარტის! შენ კი, ვხედავ, უკვე მიგიტოვებია. მეზობელ ვაგონიდან მდიდარმა სომხებმა მხოლოდ მის გაცნობაში ორასი დოლარი შემომთავაზეს.

ალტინოვი: - მერე შენ?

გამცილებელი: - ე, დავკარგე გროშები, მე ის შენ მოგიყვანე, როგორც დაგპირდი, ნახევარ საათში როსოშია, იქ უნდა ჩავიდეს.

ალტინოვი: - და რამ გაფიქრებინა, რომ ისინი მდიდრები არიან?

გამცილებელი: - რა გულუბრყვილო ხარ! თხუთმეტი წელია ამ მარშრუტზე ვმუშაობ. წიგნიც კი შემიძლია დავწერო მგზავრებზე. ნამდვილად ძალიან მდიდარი ხალხია. ისინი თავად მესამე კუპეში არიან, მეორე და მეოთხეში კი მათი დაცვაა. ორი მუდმივად მათ გვერდითაა, სხვები მეზობელ კუპეში მორიგეობენ.

ალტინოვი: - საინტერესოა, ყოჩაღ ლუბაშა, მოდი ერთი ლოყაზე გაკოცო.

პაგონია: - ოჰ, ლოყაზე... ერთი ჩემთან დარჩებოდე და დაგავიწყებდი მაგ ჭორფლიან გოგუშკას.

ალტინოვი: - ჩემი ლუბაშა, თავში ერთი აზრი მიტრიალებს. მიდი იმ სომხებთან და უთხარი, რომ დაითანმე გრძელფეხება ლამაზმანი. ის შენი ორასდოლარიანი საფასურიც აიღე. მე კი მას მოვიყვან. უთხარი, რომ დათანხმდა გაცნობაზე, რადგან საქმე მის საკონცერტო საქმიანობის დაფინანსებას ეხება. ის პიანისტია. აბა მოდი, საქმეს შევუდგეთ, მე კი მასთან გავიქეცი რესტორანში!

სანამ რესტორანს მიაშურებს, ალტინოვი საკუთარ კუპეში შეირბენს, კუპე ნათდება.

ალტინოვი: - იულენკა, ძვირფასო, სასწრაფოდ პაციენტთან გამომიძახეს, გვერდით ვაგონში, უცხოური უწყების თანამდებობის პირს გული ცუდად გახდომია. ცოტახნით დაგტოვებ. არ მოიწყინო, გკოცნი.

(ალტინოვი სამგზავრო ჩემოდნიდან პატარა ყუთს ამოიღებს) - ესეც მედიკამენტები. (და დერეფანში გაიქცევა.)

დიუკრო: - შენი ექიმი რაღაცას ხლართავს.

ბოიაროვა: - (არც ისე თავდაჯერებულად) - კარგი რა, თუ ადამიანი ავადაა...

ნათდება ვაგონ-რესტორანი, მაგიდასთან მჯდომი ვრუბელსკაია კონიაკს შეექცევა. რესტორანში შემოიჭრება ალტინოვი.

ალტინოვი: - იანა, არის საპილოტე პროექტი.

ვრუბელსკაია: - აბა, მომახსენეთ!

ალტინოვი: - ეს არის პატარა, მაგრამ მხიარული ერთმოქმედებიანი სპექტაკლი. პერსონაჟები: ორი ძალიან მდიდარი, მაგრამ უცნობი სომეხი. ვთქვათ, ორი ბიზნესმენი და მატარებლის გამცილებელი, რომელსაც სიამოვნებით შეასრულებს თავად ლიუბოვ პოგონია, ორი ახალგაზრდა არტისტი. უმშვენიერესი, ინტელიგენტური ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც სამამული სცენის ამომავალი ვარსკვლავია და მისი ბიძაშვილი, ექსცენტრიული ახალგაზრდა, რომელმაც მატარებელში ბევრი ფული წააგო და ოცნებობს შურისძიებაზე. ასევე გვჭირდება ბრილიანტის ბეჭედი, ორნახევარ კარატიანი, „ლურჯი წყალი“, ხომ იცი, მსოფლიოში სომხები ალმასის საუკეთესო შემფასებელნი არიან.

ალტინოვმა ჯიბიდან პაწია ყუთი ამოიღო, რომელიც ჩემოდანში ჰქონდა შენახული. იანა ინტერესით ათვალიერებს.

ვრუბელსკაია: - ნამდვილი ბრილიანტია?

ალტინოვი: - ჭკვიანი გოგო ხარ, კარგი შეკითხვაა. არა რა თქმა უნდა, ყალბია, მაგრამ ნახე, რა სილამაზეა, წავედით, დრო ცოტა გვაქვს. დეტალებს გზაში განვიხილავთ.

ვრუბელსკაია და ალტინოვი ვაგონის დერეფანში. გამცილებელი უხმობს მათ.

გამცილებელი: - ღმერთო ჩემო, ამდენ ხანს სად ხართ? უკვე გველოდებიან.

ალტინოვი: - სულ რაღაც ერთი წუთი, რა ჰქვია ნათესავებს? ბიძაშვილები... ხომ უნდა იცნობდნენ ერთმანეთს ივანე და ჟანა ბოროდინები. წადი იანა და მეც შესაფერის დროს გამოვჩნდები. ჩემი როლის ასათვისებლად 15 წუთს ვიტოვებ, შემდეგ დაიწყება ქაოსი.

მარტო დარჩენილი ალტინოვი მობილურს იღებს და ნომერს აკრეფს.

ალტინოვი: - მარშრუტის შეცვლისთვის 30 ათასი დოლარი? ჰო, კარგი, კიდევ რა პრობლემებია, რატომ ვერ პოულობენ მღვდელს? 12 ივნისი საეკლესიო დღესასწაულია? ო, კარგი, მღვდელი თუ არა, მაშინ არტისტი მომიძებნეთ, შესაბამისი სამოსი, ბიბლია, ორი ბეჭედი, რომელზეც უნდა იყოს ამოტვიფრული „ერთგულების ასი დღე“, ასევე მჭირდება ფლეშკა საზეიმო საეკლესიო მუსიკით და ორიც გვირგვინი. ნებისმიერი ყვავილი, თუნდაც გვირილები იყოს და ყველაფერი პენზის სადგურზე მიიტანეთ, სწრაფი მატარებელი #9, მეთორმეტე ვაგონი, „წყნარი დონი“, როსტოვ-მოსკოვი, მაგიდაც დაგვჭირდება, შეიძლება დასაკეციც იყოს, კიდევ... წითელი ატლასის ნაჭერი... და რა თქმა უნდა ხატი! დანარჩენი თავად მოიფიქრე.

ნათდება კუპე, რომელიც გამცილებელმა მიანიშნა. კუპეში ორი პატივცემული სომეხია, აშკარად რაღაცას მოუთმენლად ელიან, კარი იღება და ვრუბელსკაია შემოდის.

ვრუბელსკაია: - მოგესალმებით, ბატონო ბიზნესმენებო, მიხარია, რომ მიცანით და მომიწვიეთ. მე ჟანა ბოროდინა ვარ, პიანისტი, კლასიკური მუსიკის შემსრულებელი.

სამველი: - დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ვიცით. მე სამველი მქვია, ჩემს მეგობარს კი - სპარტაკი. გთხოვთ დაგვეწვიოთ.

ვრუბელსკაია: - როგორც მუსიკალური კრიტიკოსები აღნიშნავენ, მე განსაკუთრებულად ორიგინალურად ვახერხებ მოცარტის შესრულებას: „თვალთმაქცი მებაღე გოგონა“-ს და ჯადოსნურ ფლეიტას. კომპოზიტორის სამშობლოში ავსტრიაში, ზალცბურგის ფესტივალზე ლაურეატის წოდება მომანიჭეს. საფრანგეთის ქალაქ ბონში ბურგუნდიაში, კლოდ დებიუსის მუსიკალურ ფესტივალზე ვასრულებდი მისტერიას: „წმინდა სებასტიანის წამება“ და მეორე ადგილი დავიკავე.

სამველი: - ძალიან კარგია, ჩვენ ვიცით, წაგვიკითხავს.

სპარტაკი: - ტელევიზორში გნახეთ!

ვრუბელსკაია: - რა გასაოცარი, რა იშვიათი ადამიანები ხართ! თქვენ გაინტერესებთ კლასიკური მუსიკა. შეიძლება ითქვას, თქვენ რელიქტურ ეთნოსს მიეკუთვნებით. დღეს ადამიანთა უმრავლესობას მოსწონს ცარიელი, არაფრისმთქმელი ესტრადა. მეც თქვენსავით საშინლად მაღიზიანებს კულტურისადმი მასების უგემოვნებო დამოკიდებულება.

სპარტაკი: - არამ ხაჩატურიანი თუ შეგისრულებიათ?

ვრუბელსკაია: - არამ ილიჩის ბევრი ნაწარმოები ვიცი და მიყვარს. განსაკუთრებით მიყვარს პოეტური მუსიკა ბალეტისთვის „გაიანე“ და ფილმისთვის „ზანგეზური“.

სამველი: - ვახ, გესმის, ყველაფერი იცის!

ვრუბელსკაია: - მითხრეს, რომ მზად ხართ ჩემი ზოგიერთი კონცერტი დააფინანსოთ. დედაქალაქის სცენაზე ხშირად არ გამოვდივარ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა

ვარ, როგორც ამბობენ, მაგრამ მცირე ფინანსური მხარდაჭერით რაიონულ ცენტრებში ბოლო ბილეთამდე გაიყიდება.

სამველი: - გათხოვილი ხარ?

ვრუბელსკაია: - არა, მეგობარი მყავს.

სპარტაკი : - და რა იქნება ერთი კონცერტის ღირებულება?

ვრუბელსკაია: - რაიონულ ცენტრში, მაგალითად სარატოვში ან ეკატერინბურგში ყველაფერი ერთად: - რეკლამა, პლაკატები, პერსონაჟი, დარბაზი, განათება, ტრანსპორტი - ათი, თხუთმეტი ათასი დოლარი ღირს. ბილეთების გაყიდვა ხარჯების მხოლოდ ოცდაათ პროცენტს ფარავს.

სამველი: - ვაჰ, მთელი ქონებაა, რაღა! მაგიდასთან ახლოს მობრძანდით, ნახეთ რამდენი გემრიელი რამ გვაქვს. მიირთვით, აი ესეც მსოფლიოში საუკეთესო სომხური კონიაკი „ერებუნი“, სულ საქმეზე საუბარი არ შეიძლება, თუ წინააღმდეგი არ ხართ, ცოტა დავისვენოთ.

ვრუბელსკაია: - სიამოვნებით, ასე რომ შემიძლია თქვენი იმედი მქონდეს?

სპარტაკი: - შეგიძლიათ მომხიბვლელო ჟანა (იანასკენ მიიწევს) და ჩვენ... შეგვიძლია?

ნათდება კუპე, სადაც ბოიაროვა და დიუკრო სხედან.

დიუკრო: - რაზე ოცნებობ, მეგობარო?

ბოიაროვა: - ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ.

დიუკრო: - და რა არის მოსაფიქრებელი? დღეს საღამოს მივიღებთ საფასურს, სამას- სამას დოლარს. ხვალ შეგვიძლია საყიდლებზე წასვლა. მე „ვიქტორია სეკრეტის“ კოლექციიდან საცურაო კოსტუმის ყიდვაზე ვოცნებობ. მართალი გითხრა, მზად ვარ კიდევ სამი რეისი განვახორციელო ივლისის ბოლომდე. ცოტა ფულს ვიშოვი და ანტალიაში წავალ დასასვენებლად. შენ არ წამოხვალ?

ბოაროვა: - როგორ ჩანს, არა.

დიუკრო: - შენ სულ ალტინოვზე ოცნებობ? კარგად დაფიქრდი, იულია, სანამ გვიან არ არის. ჯერ საქმე მოვამთავროთ და მერე თუ გინდა მისგან ბავშვებიც გააჩინე!

ბოიაროვა: - ყველამ თავისი საქმე იცის, მაგრამ მე აღარ მინდა სპეციალური კურიერი ვიყო.

დიუკრო: - და სად გინდა იშოვო სამსახური? სადგურის ბაქანზე?

ბოიაროვა: - რატომაც არა, სულაც არაა ცუდი ალტერნატივა მისთვის, ვინც სისხლის სამართლის კოდექსს არღვევს. ბაქნიდან ციხეში არ მიჰყავთ, ჩვენი საქმიდან კი გზა პირდაპირ ციხისკენ მიემართება.

დიუკრო - ასეა, აქ კატორღა, იქ - სპიდი!

ბოიაროვა: - როგორ უნდა იპოვოს ახალგაზრდა ქალმა ცხოვრებაში რაიმე გამოსავალი? სადაც არ უნდა მიხვიდე სამუშოდ მაღაზია იქნება ეს, რესტორანი თუ პიცერია, ყველგან მფლობელი თქვენი ცოდნითა და უნარებით კი არ ინტერესდება, არამედ სხეულით, საჯარო სამსახურში გსურს მუშაობის დაწყება, მერიაში, მუნიციპალიტეტებში, ფედერალურ განყოფილებაში, ნურას უკაცრავად, ჯერ ჩინოვნიკთან უნდა დაწვე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამარცხვინოდ მოგისვრიან სამსახურიდან, მეცნიერებაშიც იგივე ამბავია, არ გყავს გავლენიანი სპონსორი - საყვარელი? არც სათანადო სახელმწიფო დაფინანსება გექნება, სტიპენდია კი, ჰა, ჰა, ერთი კვირა გეყოს მოკრძალებული კვებისთვის. ბანდიტებთან დაიჭერ საქმეს და მათგან ან ციხის გზას დაადგები, ან სასაფლაოსას, საკუთარი ბიზნესის წამოწყება გსურს? საბანკო სესხი 20 პროცენტია, ზოგჯერ მეტიც და თანაც რაიმე უნდა ჩადო გირაოდ. ასე რომ, მოჯადოებული წრის გარღვევა შეუძლებელია. ნებისმიერი არჩევანი ფუჭია. რჩები ზღაპრული სიუჟეტის იმედზე. შეხვდე მდიდარ პრინცს, რომელიც თავდავიწყებით შეგიყვარებს და ხელში ატატებული გაგიტაცებს ოქროს კოშკში... აი, ალტინოვი.

დიუკრო: - ნუ გაგიჟდები, იულია, ის ბნელი ადამიანია.

ბოიაროვა: - და სად არიან ისინი, ნათელი ადამიანები?

ისევ კუპე, სადაც იანა სომეხ ბიზნესმენთან საუბრითაა გართული. კარში ალტინოვი შემოიჭრება, ფერმკრთალი და თვალცრემლიანი. თუმცა იგი უკვე ივან ბოროდინად გვევლინება. იგი მუხლზე ეცემა ბიძაშვილის ჟანა ბოროდინას წინაშე.

სამველი: - ვა, რა ხდება?

ალტინოვი: - ბიძაშვილო, ვიღუპები, ვაგებ, ფული მასესხე, ვფიცავ, გპირდები, რომ ყველაფერს კაპიკ-კაპიკ დაგიბრუნებ, ხომ იცი, ჩემი ხასიათი, არავის ვალში არ დავრჩები.

ვრუბელსკაია: - ვანეჩკა, რაც მქონდა ყველაფერი მოგეცი. კარგი, გასესხებ თანხას, შენ კი მამაჩემის ანტიკვარული ნივთი დამიბრუნე. წინაზე ხომ შვიდი ათასი დოლარი მოგეცი, შენ კი ფაბერჟეს ვაზა დამიბრუნე.

ალტინოვი: - მაგრამ, ხომ იცი, საყვარელო, ის ვაზა 45-ათასი დოლარი ღირს. ნუ დამღუპავ, მომეცი ფული.

ვრუბელსკაია: - ძალიან მეცოდები, მაგრამ არ შემიძლია დაგეხმარო, თანხა, რომელიც მაქვს ვორონეჟში კონცერტის გასამართად მჭირდება. ჩემს უკან მთელი გუნდია.

ალტინოვი: - მომეცი ფული, თორემ თავს მოვიკლავ, მე ვერ გადავიტან შერცხვენას, მევალეებს თუ ხელში ჩავუვარდი... მატარებლიდან გადამაგდებენ.

ვრუბელსკაია: - იქნებ დაგმალო.

ალტინოვი: - როგორ დავემალო პირად ღირსებას. მომეცი ფული ჟანაჩკა, გადამარჩინე! გირაოს დაგიტოვებ. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ბრილიანტი, ჩვენი ოჯახის განძი, ჩვენი ქვეყნის ალმასის მოპოვების ინდუსტრიის სიამაყე (ვრუბელსკაია ხსნის უკვე ნაცნობ ყუთს).

ვრუბელსკაია: - მე არ ვარ საკრედიტო ბანკი, ვანეჩკა, არ მაქვს ფული.

ალტინოვი: - აი, ასეთი ბრილიანტი ასი ათას დოლარზე მეტი ღირს. აქ არის 2 და 7 კარატი. ყველაზე წკრიალა, უხინჯო ბრილიანტი... ლურჯი წყალი. მომეცი ჟანკა ფული!

ვრუბელსკაია: - ძვირფასი ქვების ბევრი არაფერი გამეგება, რა თქმა უნდა ეს ბრილიანტი შეუდარებელია, ფანტასტიური! თქვენ ერკვევით ბრილიანტებში? (იანა სპარკატს ბეჭედს აჩვენებს, შემდეგ ჩანთას ხსნის) ვანიჩკა, აი, მთელი ჩემი ავლა-დიდება. სამიათას სამასი დოლარი მაქვს, მიიღე სამი ათასი, სამასს კი მე დავიტოვებ.

ალტინოვი: - თხუთმეტი ათასი მჭირდება. აიღე ბეჭედი, ხვალ ვორონეჟში მინიმუმ ორმოცდაათი ათას დოლარად გაყიდი.

სპარტაკი: - საიდან მოიტანეთ ასეთი ქვა?

ალტინოვი: - რაში გაინტერესებთ?

ვრუბელსკაია: - ივანე, ესენი ჩემი მეგობრები არიან.

ალტინოვი: - მამაჩემი მთელი ცხოვრება „რუსალმაზის“ კომპანიაში მუშაობდა, ის იყო მესამე საკონცენტრაციო ქარხნის მთავარი ინჟინერი, სოფელ მირნიში, იაკუტიაში.

სპარტაკი: - ყველაფერი გასაგებია. მე მოგცემ ამ ბრილიანტში კარგ თანხას, შენ ახლავე მიიღებ შვიდი ათას დოლარს.

ალტინოვი: - არასოდეს! თქვენ მთავაზობთ მისი ღირებულების მხოლოდ შვიდ პროცენტს. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა, ისარგებლო ადამიანის უბედურებით, დამიბრუნეთ ბეჭედი. ვეცდები, დავარწმუნო ის გარეწრები, რომ ბეჭედი თორმეტი ათასად აიღონ. შესაძლოა უფრო მეტადაც.

სპარტაკი: - არა, ამ ბეჭედს ვერ დაგიბრუნებ.

ალტინოვი: - რას ქვია, არ დამიბრუნებ? ეს ჩემი ბეჭედია. ეს რა ხალხთან გაქვს საქმე ჟანკა, რა ბანდიტები გამაცანი?

სამველი: - კარგი, დამშვიდდი, ჩვენც ემოციური ხალხი ვართ, ჩვენ გაძლევთ ათი ათასს, შენ კი ბრილიანტს.

ალტინოვი: - თორმეტი!

სპარტაკი: - კარგი, იყოს თორმეტი.

ვრუბელსკაია: - ისევ მე დაგეხმარე პრობლემის მოგვარებაში, ჩემი მეგობრები იყიდიან შენს ბრილიანტს, მაგრამ როდის შეწყვეტ თამაშს?

ამაშობაში სპარტაკი ითვლის დოლარებს.

სპარტაკი: - აი, შენი ფული, ახლა ბეჭედი ჩვენია.

ახალგაზრდა მამაკაცი იღებს დოლარების დასტას, ყნოსავს, ჯიბეში იდებს და კუპედან გადის. მას უკან ვრუბელსკაია მიჰყვება.

სპარტაკი: - ეს ბეჭედი ნამდვილად ღირს არანაკლებ ასი ათასი .

ვრუბელსკაია: - (ბრუნდება) - მაპატიეთ, ბატონებო !

სპარტაკი: - რას ბრძანებთ, გაგვიხარდა შენი ბიძაშვილის გაცნობა.

ვრუბელსკაია: - დიდებული ადამიანები ბრძანდებით, სიამოვნებით გავაგრძელებ თქვენთან ნაცნობობას.

სპარტაკი: - სად შემიძლია გიპოვოთ?

სამველი: - რატომ შენ? ყველაფერი შენ, საოცარი ბეჭედი შენ, ლამაზესი ქალი შენ, არა, სინდისიც კაი საქონელია, ჟანა ამირჩიეთ მე...

ამ დროს რადიო აცხადებს: „ძვირფასო მგზავრებო! ჩვენი ჩქარი მატარებელი „წყნარი დონი" ნომერი ცხრა „როსტოვი - მოსკოვი" ჩამოდგა „ლისკის" სადგურზე. იმედი უნდა გაგიცრუოთ: წინ დიდი ავარიული შემთხვევაა. ცენტრალური სადისპეჩერო ცვლის მარშრუტს, ჩვენი მატარებელი მიემართება ვოლჟსკის რკინიგზის ხაზით ჩვენ შეგვირჩევენ მარშრუტს, რათა დროის ნაკლები დანაკარგით ჩავიდეთ ბოლო სადგურამდე. „ლისკის“ სადგურზე მატარებლის გაჩერება თხუთმეტ წუთამდე გახანგრძლივდა, შემდეგი სადგურია „პოვაროვო“, შემდეგ „პენზა“. ჩვენ გაცნობებთ მატარებლის შემდგომ მარშრუტს. გმადლობთ ყურადღებისათვის.

სამველი: - რა პემზა, რის პემზა?

ვრუბელსკაია: - სპარტაკ, ძვირფასო, მე გელით თქვენ, ჩემი პოვნა ადვილია, ვორონეჟის ფილარმონია, ჟანა ბოროდინა.

ის მიდის სპარტაკთან, ხელს ხელზე კიდებს, რომელშიც ბრილიანტის ბეჭედი მჭიდროდაა მომუშტული და გამომშვიდობების ნიშნად ეხვევა.

სამველი: - ჩვენც უნდა ჩავიდეთ, აბა რაში გვჭირდება პემზა. ხვალ მოსკოვში უნდა ვიყოთ. ჩქარა ჩავიდეთ!

ნათდება მეექვსე კუპე:

დიუკრო: - ესე იგი ვორონეჟში ვერ მოვხვდებით?

ბოიაროვა: - ღმერთო, რა მოხდება ...

მეორე მოქმედება

ღარიბულად მოწყობილი ოთახი, სადაც პენზას თეატრის ყოფილი მსახიობი ცხოვრობს, ალექსეი პიროჟკოვი მაგიდასთან ზის და რუსი მსახიობებისთვის დამახასიათებელი საქმიანობით ირთობს თავს: - მაგიდაზე არყის ბოთლია, ჭიქა ნახევრად ცარიელია, იქვე თეფშზე მწნილია. კარზე კაკუნის ხმა ისმის.

პიროჟკოვი: - შემოდი, კარი ღიაა.

ოთახში სასწრაფოდ შემოდის პიროჟკოვის ძველი მეგობარი, სახანძრო სამსახურის თანამშრომელი ნიკანორ გრიგორიევიჩ პუგოვკინი, სამსახურებრივ ფორმაში გამოწყობილი.

პიროჟკოვი: - ა, ნიკანორს ვახლავარ!

პუგოვკინი: - სალამი, მეგობარო, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მაგარი საქმეა. ჰონორარი - ათასი დოლარი. ათი პროცენტი საკომისიო ჩემია. შენგან ითხოვენ...

პიროჟკოვი: - ძალიანაც კარგი, ნიკანორ, შეგიძლია, არც კი ამიხსნა, რა საქმის გაკეთება მევალება. ათას დოლარად, რასაც მიბრძანებენ, ყველაფერს შევასრულებ, მაგ ფასად შემიძლია შურდულით მტრედი მოვკლა, გუბერნატორს სახეში შევაფურთხო, ჩეხოვის წიგნები დავწვა, ვირთხების სოროში ვიცხოვრო და ნებისმიერ სკანდალურ დეპუტატს ხმა მივცე! ჩემს სამყაროში არაფერია ისეთი, რაც მაიძულებს უარი ვთქვა ასეთ კაპიტალზე. აქ, პენზაში ეს მთელი ქონებაა. ამ თანხით კარგა ხანს შეიძლება თავის გატანა. იმის გაფიქრებაც კი, რომ ათას დოლარს ავიღებ, ბედნიერებას მანიჭებს. უნდა ყველამ გაიგოს, რომ მე, ალექსეი პიროჟკოვი, ადგილობრივი თეატრის ყოფილი მსახიობი

ერთ საქმეში ათას დოლარს ვიღებ ჰონორარად. მოდი, ერთი გაკოცო, ჩემო მეგობარო.

პუგოვკინი: - დამამთავრებინე რა, სიტყვა...

პიროჟკოვი: - ილაპარაკე!

პუგოვკინი: - სამუშაო დავალება ასეთია: მათ მოითხოვეს ახალგაზრდა წყვილის დაქორწინება სწორედ მატარებელში.

პიროჟკოვი: - არ მესმის, მეჯვარე უნდათ?

პუგოვკინი: - ჯანდაბა, მღვდელი!

პიროჟკოვი: - აი, მეც აქ ვარ! „ანა კარენინაში" უნდა მეთამაშა მღვდელი კიტის და ლევინის ქორწილში, ახალგაზრდა დრამატურგის თავისუფალი ინტერპრეტაციით. თეატრის ფინანსურმა პრობლემებმა ხელი შეგვიშალა. და ახლა, ცხრა წლის შემდეგ! „ქორწინდებიან მონა ღვთისა კონსტანტინე და მხევალი ღვთისა ეკატერინე“. (პიროჟკოვი კარგად დაყენებული ხმით გალობს.) - მითხარი, მეგობარო, ნამდვილი მღვდლის წაყვანა რატომ არ უნდათ?

პუგოვკინი: - დღეს საეკლესიო დღესასწაულია. მღვდლებს არ სცალიათ. მე გამიჩნდა შენი გაგზავნის იდეა. თუ ახალშეუღლებულებს ასე ეჩქარებათ, დაე, არტისტმა დასწეროს ჯვარი. მართლმადიდებელი ხარ?

პიროჟკოვი: - მონათლული ვარ... აბა რა.

პუგოვკინი: - მაშინ არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს. ასე რომ ჩამოასხით!

პიროჟკოვი კიდევ ერთ ჭიქას ჩამოდგამს მაგიდაზე, მეგობრები სწრაფად ჩამოასხამენ არაყს, გადაჰკრავენ და გემრიელ მწნილს დააყოლებენ.

პიროჟკოვი: - ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნიკანორ გრიგორიევიჩ, დამეხმარე შენი კავშირებით გასახდელი ოთახის გახსნაში, იქ ინახება ჩემთვის ცხრა წლის წინ შეკერილი ანაფორა, ჯვარსა და ბიბლიასაც იქ ნახავ, ან რაიმე სხვა წიგნი იქნება. მოიფიქრე ძმაო, ერთ-ორი დღით მიშოვე სამუშაო ტანსაცმელი.

ღმერთმა ქნას, იქნებ ეგ როლი მომავალშიც გამოგვადგეს. ასე რომ, თუ ათ პროცენტს ითხოვ, პირობებიც უნდა შემიქმნა წარმატებული საქმიანობისთვის, იყავი ჩემი პროდიუსერი, იქ სადაც ეკლესიები დანგრეულია და მღვდელს სანთლითაც ვერ იპოვი, ქორწილებსა და პანაშვიდებზე მოვაწყოთ ნამდვილ სანახაობები, მაგრამ მღვდელი ანაფორის გარეშე იგივეა, რაც რუსეთი მოსკოვის გარეშე, ეკლესია წირვის გარეშე, ქალი სიყვარულის გარეშე.

პუგოვკინი: - მაშინ ერთი ათი პროცენტი კიდევ უნდა დამიმატო. თანახმა ხარ ოცი პროცენტი გადამიხადო?

პიროჟკოვი: - კარგი, მასე იყოს. მაშინ სადგურში მოდი, მოვემზადოთ. ულვაში დამჭირდება, წვერი...

პუგოვკინი: - კარგი იქნება ტექსტზე იფიქრო, პიროჟკოვ, უბრალო სიტყვებით ჯვრისწერა მიუღებელია. იქ, ჯანდაბა, განსაკუთრებული სიტყვებია საჭირო.

პიროჟკოვი: - მე, ნიკანორ, ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს, ხუთ წელზე მეტია, როლი ზეპირად ვიცი (მღერის კარგად დაყენებული ბარიტონით.) მარადიულო ღმერთო, დალოცე სიყვარულის კავშირი და ერთობა ვითარცა მემკვიდრეებისა ისააკისა და რებეკასი, აკურთხე მონა შენი კონსტანტინე და მხევალი შენი ეკატერინე. შენ ხარ ღმერთი მოწყალე და კაცთმოყვარე... გადიდებთ შენ, მამას, ძესა და სულიწმიდას, ახლა და სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე...

პუგოვკინი: - მაგარი ვინმე ხარ! თითქოს ნამდვილი მღვდელი იყო! აი, რა უნდა გითხრა ლიოშა, ძმაო, მართლაც ბრწყინვალე აზრი მოგივიდა. ჯანდაბა, ტვინი არ ამერიოს. ჰო, იმას ვამბობდი, წავიდეთ შორეულ სოფლებში ქორწილებსა და ქელეხებში, ხალხს ღვთის სიტყვა ვუქადაგოთ და ჩვენი ქონებაც შევავსოთ... ესე იგი, ნულ საათსა და 20 წუთზე ვხვდებით ჩვენს დამკვეთებს სადგურზე. ის გადმოგვცემს საქორწილო ბეჭედს, ჭურჭელს, ბილეთს უკან დასაბრუნებლად და ასევე, ფულს.

პიროჟკოვი: - და სად არის პატარძალი?

პუგოვკინი: - სიძე-პატარძალი დიდი ხანია მატარებელშია. დამკვეთი, ჯანდაბა, საქმროს მეგობარია.

პიროჟკოვი: - წადი, ნიკონორ, ნახე ანაფორა! თეატრში, გასახდელ ოთახში იქნება.

პუგოვსკაია კარისკენ მიემართება, უცებ პიროჟკოვი მას აჩერებს:

პიროჟკოვი: - მოიცადე...

პუგოვკინი: - რაო, კოლია?

პიროჟკოვი: - შენ... შენ იცი, რისთვის გამაგდეს თეატრიდან...

პუგოვკინი: - ცხადია ლოთობისთვის.

პიროჟკოვი: - ლოთობისთვისაც და... მარტო მაგისთვის არა, მე ხომ კარგი მსახიობი ვარ, საჭირო კაცი, მე არჩევნებზე ხმა „ერთიანი რუსეთისთვის“ არ მიმიცია და კიდევ, ერთი ცოდვაც მაქვს.

პუგოვკინი: - ნუ მაშინებ, კოლია.

პიროჟკოვი: - არა, რეალურად საშიში არაფერია. წარმოგიდგენია, მე აღმოვაჩინე ჩემში ასეთი დაავადება, კლეპტომანია. ყველაფერი თითქოს კარგადაა და უცებ, რაღაც მომენტში მიჩნდება დაუძლეველი სურვილი, სხვისგან მოვიპარო რაღაც, არა აქვს მნიშვნელობა, რა... ახალ წელს კულტურის სახლში ნაძვის ხის ზეიმზე თოვლის პაპა ვიყავი. ბავშვებს დიდი ჩანთიდან საჩუქრები ჩამოვურიგე, მაგრამ როცა წავიდნენ, თავში რაღაც აზრი ამეკვიატა. არ დაგიმალავ, მანამდე დავლიე და როცა შემოქმედებით დაძაბულობას ემატება სასმელიც, უცნაური სურვილი მთელ არსებას ეუფლება. ნაძვის ხე დიდი იყო და მე ის მთლიანად გავძარცვე, ყველა სათამაშო ჩამოვხსენი, გუდა ავავსე და ჰეი, შინისაკენ. სახლში ვათვალიერებ ამ ბურთებს და ვფიქრობ, რა თავში ვიხლი! უკან დავაბრუნო? მრცხვენია. მეორე დღეს ისევ ნაძვის ხე. ნაძვის ხეზე კი ერთი სათამაშოც აღარ კიდია. ბავშვები ღრიალებენ. ნამდვილი სკანდალი იყო. გაიკითხ-გამოიკითხეს და

ყველაფერი გაირკვა. თეატრში ვამბობ, კარგი, გამანთავისუფლეთ, ოღონდ ჩამიწერეთ, რომ სიმთვრალის ბრალი იყო, ყველა დაიჯერებს იმაზე კი... არ გინდათ, სასაცილო გავხდები - არ მინდა.

პუგოვკინი: - და შენ თავს ვერ აკონტროლებ?

პიროჟკოვი: - არის მომენტები, თითქოს გონება მებინდება. თავს არ ვეკუთვნი.

პუგოვკინი: - ჰო, ფრთხილად იყავი... ქორწილიდან ხელს რამე არ გამოაყოლო, ხომ იცი, მე იქ არ ვიქნები.

პიროჟკოვი: - მთელი ძალით ვეცდები თავი შევიკავო.

პუგოვკინი: - შენ იქ მთელ დროს ხალხში გაატარებ, წითელ კუთხემდე, მერე კი მაშინვე ჩადი...

პიროჟკოვი: - ჰო, მართალია.

პუგოვკინი: - აბა ჩამოასხი, რას უყურებ. ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს (ცარიელ ბოთლს ასწევს) ეს მეტი აღარ გაქვს?

პიროჟკოვი: - როგორ გეკადრება! (მიდის ბუფეტისკენ).

ალტინოვი და ვრუბელსკაია

ვრუბელსკაია: - ეს იყო ყველაზე საოცარი წარმოდგენა ჩემს ცხოვრებაში, ნამდვილი ჯადოქარივით თამაშობდი გირზე უფრო დახვეწილი იყო, გიფსონზე უფრო შთამაგონებელი. აუდიტორიიდან რომ მეცქირა შენთვის, შენს ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვასა და ჟესტს ტაშს დავუკრავდი.

ალტინოვი: - არც თქვენ ჩამოუვარდებოდით ჯულია რობერტსს. თქვენც ასევე ჩაწერეთ ბრწყინვალე ფურცელი რუსულ და მსოფლიო თეატრის ისტორიაში ამ საღამოს.

ვრუბელსკაია: - რამდენად ხშირად წერთ ასეთ შესანიშნავ პიესებს?

ალტინოვი: - თქვენ მხედველობაში გაქვთ მომგებიანი დასასრული?

ვრუბელსკაია: - სწორედაც! ჯობია არც თქვათ.

ალტინოვი: - უფრო ხშირად, ვიდრე თქვენსავით მომხიბვლელ ქალს შევხვდები.

ვრუბელსკაია: - ამას ქათინაურად მივიღებ.

ალტინოვი: - სულაც არა, მე ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ თქვენით, აი, აიღეთ მოგებიდან თქვენი წილი ათასხუთასი დოლარია თქვენი პროცენტი, სპექტაკლის ორგანიზებაზე არანაირი ხარჯი არ გვქონია, ამიტომაც, დასათვლელიც არაფერია.

ვრუბელსკაია: - არ ვარ ჩვეული, ხელზე ასეთი თანხა ვატარო.

ალტინოვი: - მიეჩვიეთ, ნამდვილად კარგი ჩვევაა.

ვრუბელსკაია: - გითხარით, სუტინიორები გამძარცვავენ. იქნებ ჩემს საკრედიტო ბარათზე ჩამირიცხოთ?

ალტინოვი: - კარგი, ფულიანი ადამიანი წინდახედულიც უნდა იყოს. მე ერთი იდეა მაქვს!

ვრუბელსკაია: - მატარებლის მარშრუტის შეცვლა თქვენი იდეაა? ის, ცხადია სპექტაკლ „ბრილიანტის ცრემლებისთვის“ ხაჩატურიანის მუსიკის თანხლებით არ მოგიფიქრებიათ.

ალტინოვი: - არა, ასეთი მარტივი, ერთმოქმედებიანი სპექტაკლისთვის „ბრილიანტის ცრემლები“, ამდენად არ ავიტკიებდი თავს. ნამდვილი წარმოდგენა ახლა იწყება: „ბუკმეიკერის ექსპრესი“. სიუჟეტი მარტივია, მაგრამ საინტერესო. სპექტაკლის გმირები: ახალგაზრდა, ელეგანტური ქალბატონი, სიტყვაძუნწი ჯელტმენი, გამცილებლები, მგზავრები. ქალი - ბუკმეიკერი. თამაშის მსურველი მგზავრებისგან იღებს ფსონებს სწრაფი მატარებლის „წყნარი დონის“ ზუსტი მარშრუტის გამოცნობაზე, რომელმაც გარემოებათა გამო გეზი იცვალა და შემოვლითი გზით მოსკოვისკენ მიემართება. მგზავრებმა იციან მხოლოდ შემდეგი ორი სადგური: „პოვაროვო“ და „პენზა“, რომელ ქალაქებს გაივლის მატარებელი მოსკოვამდე, აი, ფსონის

არსი. პირველი, ვინც ფულს ჩამოვა ვანია ბოროდინია, მშვენიერი ბუკმეკერი ჟანა ბოჩერკაია არწმუნებს მას, რომ ფსონი დადოს მის სამარშრუტო ვერსიაზე. მატარებლის დერეფანში ახალგაზრდები ხმამაღლა იწყებენ კამათს და სხვა მგზავრების ყურადღებას იპყრობენ. ფსონების დადების მსურველთა სია იზრდება. ლიუბოვ პოგონიას თქმით მატარებლით ბევრი მდიდარი ადამიანი მგზავრობს. ჩვენ უკვე ათი საათია ვმგზავრობთ. მარშრუტის შეცვლამ ააფორიაქა მგზავრები, მაგრამ არც ისე დიდხანს. ბორბლების ხმაური და აზარტული იდეა მათ მოსაწყენ სევდას გააქარვებს. აი, ამ დროს გამოჩნდება მომხიბვლელი ბუკმეიკერი იანა ბიჩერსკაია. მისი ადამიანებთან ურთიერთობის ბრწყინვალე ნიჭი სასწაულებს მოახდენს. ტოტალიზატორის ბანკში დაახლოებით ასი ათასი დოლარი შეგროვდება, რომელსაც გამარჯვებული ივან ბოროდინი იღებს. მატარებლის ზუსტი მარშრუტის გამოცნობისთვის.

ვრუბელსკაია: - შეუდარებელი ხარ. ნამდვილად შემიყვარდი, რეჟისორო.

ალტინოვი: - იანა, მე მყავს საცოლე, მინდა სასწრაფოდ ვინახულო, საბრალო, ალბათ მოიწყინა.

ვრუბელსკაია: - რა საცოლე, უფროსო? თქვენ სრულიადაც არ შეგეფერებათ ცოლ-ქმრული უღელი.

ალტინოვი: - საყვარლო! ქორწილი - ეს ჩემი ყველაზე საყვარელი პიესაა. ჩემი ცხოვრების ჟანრი ყოველთვის ითხოვს სასიყვარულო თავგადასავლებს. შევხვდებით მეთორმეტე ვაგონში, გამცილებელ ლიუბოჩკასთან.

ვრუბელსკაია: - პიესა „ქორწილსაც“ მოაქვს ფული.

ალტინოვი: - არა, იანოჩკა, სიყვარული მოაქვს...

იური ალტინოვი მეექსვსე კუპეში შედის. სარკმელთან ზის ბოიაროვა, მას სიყვარულიანი მზერით უცქერის ალტინოვი, ბოიაროვა ვერ ასწრებს სიტყვის

თქმას, ალტინოვის ტუჩები განსჯის ძალას ართმევს, ის ლურჯი ბლუზის გახდას იწყებს, როცა კუპეში შემოდის ესთერ დიუკრო.

დიუკრო: (ცივად) - დროა, მოვემზადოთ, ორმოცდაათ წუთში უნდა ჩავიდეთ პოგაროვოს სადგურზე. იულია, არ დაგავიწყდეს, კონდუქტორს ბილეთები გამოართვი, მათ გარეშე ბუღალტერი ვერ აგვინაზღაურებს სატრანსპორტო ხარჯებს. ბატონო ექიმო, ჩვენ გვეგონა, რომ ლისკში ჩახვედით. ძალიან სასიამოვნოა თქვენი კვლავ ხილვა. იულია, გთხოვ, მოემზადე. მეც სასწრაფოდ უნდა გამოვიცვალო. ბატონო ალტინოვ, ნება იბოძეთ და დაგვტოვეთ მარტო მე და იულია.

ალტინოვი: - ის თქვენთან ერთად არ ჩამოდის.

ბოიაროვა: - დიახ, მე მასთან ვრჩები.

დიუკრო: - ნუ მოუტან საკუთარ თავს უბედურებას. დაუტოვე მისამართი და თუ სურვილი ექნება, თავად მოგძებნის.

ალტინოვი: - ის ჩემთან ერთად წამოვა და ხელს ვერავინ შეგვიშლის.

დიუკრო: - იულია, გააფრთხილე ახალგაზრდა, რომ მას მალე უსიამოვნებები ელის. ჯობია, თავი დაგანებოს, ყველასთვის აჯობებს თუ მივლინების მერე კვლავ შეხვდებით ერთმანეთს.

ალტინოვი: - თქვენ აიღეთ იულიაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა? დიდი მადლობა. ჩემში ეს პატივისცემას იწვევს. სიტუაციის გათვალისწინებით, მე მივედი დასკვნამდე, რომ თქვენ შეგიძლიათ იყოთ მთავარი პირი, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ჩვენს გზაზე წარმოქმნილი პრობლემების აურზაური. ორ საათში პენზაში ჩვენთან, ვაგონში მოწვეულია მღვდელი, რომელიც ჩვენს საქორწილო ცერემონიალს აღასრულებს. ძვირფასო ესთერ, მე და იულია მოხარული ვიქნებით, თუ დაგვდებთ პატივს და ჩვენს ჯვრისწერას დაამშვენებთ.

დიუკრო: - შეიშალეთ, რა ქორწილი! იულია, რას ამბობს! სხვა დროისთვის გადადეთ ეს გულისამაჩუყებელი ცერემონია. როცა საქმეს დაასრულებ, რაც გინდა ის

აკეთე! იური, ჩვენ სერიოზული საქმე გვაბარია, გაიგეთ, ვალდებულება სიყვარულზე მაღლა უნდა იდგეს. მოვალეობა კი ეგოიზმზე უფრო მნიშვნელოვანია.

ალტინოვი: - შეიძლება თქვენს პატრონს მოველაპარაკო?

დიუკრო: - ვერ გამიგია, რაზე საუბრობთ?

ალტინოვი: - კარგი, მომიწევს თავად მოვძებნო. ექიმის ინტუიცია და გულის ხმა მიზნამდე მიმიყვანს.

ალტინოვი სწრაფად ტოვებს კუპეს.

ბოიაროვა: (მიაძახებს) - მეცხრე კუპე.

დაცვა: (კუპის შესასვლელთან): - რა ხდება? (ეს ის პიროვნებაა, რომელიც ალტინოვის არყოფნის დროს შესული იყო კუპეში).

ალტინოვი: - მაქვს პატივი, მოსკოველი ქირურგი იური ალტინოვი.

დაცვა: - მოკლედ მითხარით, რა გსურთ?

ალტინოვი: - მინდა თქვენგან ბოიაროვა გამოვისყიდო.

დაცვა: - რაო, რაო?

ალტინოვი: - მე გაძლევთ თანხას, თქვენ გაანთავისუფლებთ ბოიაროვას.

მეპატრონე: - მანდ ვინ არის?

დაცვა: - გესმით კუზმინ, აქ ქირურგია, ჭუჭყიან ფულს გვთავაზობს.

მეპატრონე: - რამდენს იძლევა?

ალტინოვი: - ძალიან ბევრს. ქირურგის წლიური ხელფასის ნახევარს.

მეპატრონე: - მაინც რამდენს?

ალტინოვი: - სამი ათას დოლარს.

დაცვა: - ჩვენ ქალიშვილმა გვითხრა, რომ შენ მთელი დასტა მწვანეები სარკმლიდან მოისროლე და ჩვენ კაპიკებს გვთავაზობ?

ალტინოვი: - ნება მომეცით შემოვიდე კუპეში, გავესაუბრო თქვენს მეგობარს.

მეპატრონე: - შემოდი, ეგ ჩემი მეგობარი კი არა დაცვაა. მომიყევი ქალაქელო ექიმო, რა მიზნით გჭირდებათ ჩვენი მზეთუნახავი?

ალტინოვი: - მინდა ცოლად შევირთო. პენზას სადგურზე მღვდელი მელოდება. ქორწილი ჩქარი მატარებლის როსტოვი-მოსკოვის ვაგონში.

მეპატრონე: - ჯვრისწერა მატარებელში? საინტერესო წამოწყებაა.

ალტინოვი: - ყურებამდე ვარ შეყვარებული. პატარძალი თანახმაა.

მეპატრონე: - თანახმაა. განსაკუთრებულ შემთხვევებში დაუწერელი კანონები დამსაქმებლის თანხმობას მოითხოვს!

ალტინოვი: - ეს ჩემთვის ცნობილია, სწორედ მაგიტომ შემოგთავაზეთ კომპენსაცია.

მფლობელი: - მეორედ აღარ შემომთავაზოთ ეგ მიზერული თანხა, ამით მხოლოდ გამანაწყენებთ.

ალტინოვი: - თქვენი პირობები მომახსენეთ.

მფლობელი: - თხუთმეტი ათასი.

ალტინოვი: - კარგი, თანახმა ვარ.

მფლობელი: - კარგი, საინტერესოა, როგორც ჩანს ექიმებს კარგი შემოსავალი გქონიათ.

დაცვა: - ბატონო, მისგან მეტის აღებაც შეიძლება.

მეპატრონე: - გაჩუმდი, მე არ მინახავს ქირურგი, რომელიც ასე ირჯებოდეს, არც მინდა ვიცოდე როგორ? საიდან? ჩემს სიტყვას კი მე ყოველთვის ვასრულებ.

დაცვა: - თანხა ახლავე!

ალტინოვი: - თანახმა ვარ.

ჯიბიდან იღებს შეკვრას. აძლევს ბოსს, რომელიც მას შეათვალიერებს და შარვლის ჯიბეში ინახავს.

მფლობელი: - მომწონხარ ექიმო. იქნებ ჩემთან გემუშავა? ჩემს სახურავში წვიმა არ ატანს. ბოიაროვასთანაც დარჩები.

ალტინოვი: - მართალია, ძალიან მადლიერი ვარ შენი! მოწვევისთვის დიდი მადლობა, მაგრამ არ შემიძლია, საავადმყოფოში პაციენტები მელოდებიან.

მეპატრონე: - პასუხზე ნუ იჩქარებ, ცოლთანაც გაიარე კონსულტაცია.

ალტინოვი: - კიდევ ერთხელ, გმადლობთ.

მეპატრონე: - ჩემი მცველი, ვასილი შეცვლის შენს რჩეულს, წადი ვასილ, გააკეთე ყველაფერი შეუმცდარად, ჩვენ ყველა ჩამოვდივართ პოვაროვოს სადგურზე. თქვენ კი დარჩით თქვენს ჭორფლიან პატარძალთან, მიდი, გააჩაღე ქორწილი. არა, ძალიან მომეწონე, ექიმო.

მეექვსე კუპე. ესთერსა და იულიას უკვე დერეფანში გამოუტანიათ ჩემოდანი. მატარებელი სვლას ანელებს ზღურბლზე ალტინოვი და მცველი დგას.

იულია: - ოჰ! (შეშინებული სტაცებს ხელზე ხელს ალტინოვს).

ალტინოვი: - ყველაფერი რიგზეა, იულენკა. მოემზადე ქორწილისთვის.

დიუკრო: - კარგი, მშვიდობით, მეგობარო! (ჩაეხუტება)

ალტინოვი, დიუკრო და მცველი ჩემოდნებით ჩასასვლელისკენ მიემართებიან. კარიდორში სამება შეეჩეხება ბოსს. გამცილებელი გამოდის კუპიდან.

პოგონია: - ოჰო, სად მიდიხართ ყველა ერთად?

ალტინოვი: - დამშვიდდი ლიუბოჩკა, მე და იულია შენთან ვრჩებით (შეუმჩნევლად ჩაუცურებს ასდოლარიან კუპიურას და ყურში ჩასჩურჩულებს: (ბოსს მიხედე!)

მატარებელი გაჩერდა. დიუკრო და დაცვა ჩემოდნებით ბაქანზე ჩადიან.

პოგონია: - ო, მოიცადეთ, მე ხომ ბილეთები უნდა დაგიბრუნოთ. ახლავე, ახლავე!

მეპატრონე: - კარგი, მე არ მჭირდება თქვენი ბილეთები. ამ მოკლე დიალოგის დროს, ალტინოვი, რომელიც იდგა მეპატრონის უკან, ელვისებური ჟესტით ამოაცლის უკანა ჯიბიდან დოლარების შეკვრას, რომელიც თავად გადასცა ბოსს.

მცველი: - აი, მოვედით.

მეპატრონე: (შემობრუნდება) - აბა, კარგად, ექიმო, არა, ძალიან მომეწონე.

ალტინოვი: - ქორწილში პირველი სადღეგრძელო თქვენია!

მეპატრონე ბაქანზე ჩადის.

ალტინოვი: (თავისთვის) - ასეთი რამ კაი ხანია არ გამიკეთებია, მაგრამ სიყვარულის ყიდვა ამორალურია!

ალტინოვი და ვრუბელსკაია

ალტინოვი: - მაშ ასე, იანოჩკა, ჩვენს წინაშე ახალი ამოცანაა. მგზავრების წახალისება მაღალი მოგებისკენ... აიღე ფურცელი და ჩაწერე: ივან ბოროდინი - ფსონი ათას ხუთასი დოლარი. მარშრუტი: პენზა - წითელი კუთხე - მიჩურინსკი - დავიდკოვო - კურსკი, ორიოლი - მოსკოვი.

ვრუბელსკაია: - ფსონი მიღებულია. რას ვაკეთებთ შემდეგ?

ალტინოვი: - ვიწყებთ საქმიანობას. გადი დერეფანში, შეიჭერი ყველა კუპეში, შეანჯღრიე ყველა მგზავრი. პოგონიას თქმით ყველაზე მდიდრები მესამე, მეოთხე და

მეხუთე ვაგონებით მგზავრობენ. გამოაფხიზლე ბატონები შეძახილით: „ტოტალიზატორის ექსპრესი“ ჩქარობს, მაგრამ თქვენი ფსონი ჯერ კიდევ არ არის პორტფოლიოში! თუ ვინმე უკადრისად მოგექცევათ, მიიღეთ ეს თავმდაბლური ღირსებით, თუ ვინმე სიყვარულზე დაგიწყებთ საუბარს, ზურგს ნუ აქცევთ მას. გახსენით ფართოდ თქვენი ჩანთა და მიიღეთ ფსონები წარმატების სურვილით. მოხიბლეთ ისინი თქვენი მაცდუნებელი, ელვარე თვალებით, მოაჯადოვეთ მაღალი ლექსიკით, დახვეწილი ქცევით და მანერებით. მონუსხეთ ბევრი ფულით... შეინახეთ კუპიურები გამჭვირვალე ჩანთაში: როდესაც სწრაფი მოგების მსურველნი დაინახავენ ცდუნების საგანს, მათი ნერვიული სისტემა აცახცახდება, აენთება ასდოლარიანების წინაშე. მათ თავბრუს დაასხავს ბრწყინვალე ავტორის თამაში. მათ გააბრუებს თქვენი ეროტიკული ველი, იანოჩკა! მათ ყველას უნდა გაუღვიძო სურვილი. და მაშინ წარმატებაც გარანტირებულია. წინ!

ვრუბელსკაია: - ვაშა! დირექტორო! შენ მაინც გადაწყვიტე ჩემი შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენება.

ვაგონის კორიდორი. ვრუბელსკაია პირველ კუპესთან მიდის. კარზე დაბეჯითებით აკაკუნებს.

ვრუბელსკაია: - „ექსპრეს ტოტალიზატორი“ იღებს ფსონებს. თქვენი ვერსიები, ბატონებო! ვინც მატარებლის მარშრუტს გამოიცნობს, დიდ თანხას მოიგებს. ვინც მეტს დებს, მეტს მიიღებს. ვინც გაბედავს, იხეირებს. ვინც რისკავს, მწვერვალსაც ის იპყრობს. პენზამდე ოცი წუთით ადრე ფსონების მიღება შეწყდება. თქვენს განკარგულებაშია დაახლოებით ერთი საათი. გსურთ, გამოსცადოთ თქვენი ბედი? ფსონები მიიღება შეზღუდვების გარეშე.

- რამდენია მინიმალური ფსონი? (პირველი მგზავრი გამოიხედავს და ვრუბელსკაიას დანახვაზე სახეზე ღიმილი გადაურბენს, აღფრთოვანებას გამოხატავს ჟესტებით).

ვრუბელსკაია: - მინიმუმი არ ვიცი, მაგრამ პირველი ფსონი ათასხუთასი დოლარია. ოცი დოლარის დადება გსურთ? გვარი? - ლეშა მედიაშკინი“. ჩამაწერინეთ თქვენი აზრით, რომელ მარშრუტს გაივლის მატარებელი. პირველმა რა თქვა? - პენზა - მიჩურინსკი, ორიოლი - მოსკოვი.

მგზავრი: - მე ვამბობ: პენზა, ტამბოვი, რიაჟსკი, რიაზანი, მოსკოვი.

ვრუბელსკაია: - დავწერე, ვინ არის შემდეგი? ბორის ივანოვიჩ სმეროვი? ასი დოლარი ჩავდე მარშრუტზე: პენზა - ჩერუსტი - შახოვსკაია - მოსკოვი, ორასი დოლარი: - პენზა-ლიპეტსკი, კურსკი, ორიოლი-მოსკოვის ვერსია. ჩაწერეთ, ივან იეშინინი.

იანა ისეთივე აღფრთოვანებულ რეაქციას იწვევს მგზავრებში, როგორიც ლეშა მედიაშკინზე მოახდინა. კმაყოფილი იანა მომდევნო ვაგონს მიაშურებს. რამდენიმე წამით სცენა ცარიელია, მხოლოდ ისმის თამაშის აზარტში შესული ადამიანების შეძახილები, მაგრამ შემდეგ დერეფანში სახეშეშლილი, აღელვებული მისტერ სუტირინი შემოიჭრება.

სუტირინი: - სად არის ბიჩერსკაია? მე გავიგე... მთელი მატარებელი მასზე საუბრობს. მინდა ბიჩერსკაიასთან, თამაში მინდა (გარბის).

ვრუბელსკაია: (თავისთვის) - ადამიანებს თამაშისკენ მანია იზიდავს, როგორც ვნების ფანტასმაგორია. რუსი ადამიანის სულში პატარა დემონი ბუდობს.

ღამე. სადგურ პენზას პირველი ბაქანი ცუდადაა განათებული. ბაქანზე არიან პუგოვკინი და პიროჟკოვი, ამ უკანასკნელს მამა ალექსის ანაფორა ჩაუცვამს. ორივე საკმაოდ შეზარხოშებულია.

პიროჟკოვი: - ჩავდივარ ცოდვას სიყვარულის სახელით, და რადგან სიყვარულის სახელით, უფალი შემინდობს.

პუგოვკინი: - წარმატებები, ლიოშა და ოცი პროცენტი არ დაგავიწყდეს.

პიროჟკოვი: -რა დამავიწყებს ნიკანორ, რა დამავიწყებს. საღმრთო საქმე სუფთა ხელებით უნდა გაკეთდეს, ყოველგვარი სიცრუის გარეშე. მოდი, ჩემო ძველო მეგობარო, ცოტაც გადავკრათ.

პუგოვკინი ჯიბიდან ბოთლს და ორ ჭიქას იღებს. ასხამს, მეგობრები სვამენ. ჩანს ფარნების შუქი და მუხრუჭის ხმაც ისმის. სიბნელიდან ახალგაზრდა კაცი გამოჩნდება ხელში ჩემოდნით.

ახალგაზრდა კაცი: - მამა ალექსი?

პიროჟკოვი: - ასეა!

ახალგაზრდა კაცი: - აქ ყველაფერია, რაც ჯვრისწერას სჭირდება. (აწვდის ჩემოდანს) - ეს კი გასამრჯელო და ბილეთები (აწვდის კონვერტს და სიბნელეში უჩინარდება).

მიახლოებული მატარებლის ხმა ფარავს მანქანის ბორბლების ხმას. მატარებელი პირველ ლიანდაგზე ჩამოდგება. ლიუბა პოგონია ვაგონის კიბეზე ჩამოდის.

პოგონია: - საღამო მშვიდობისა, მამაო, ამობრძანდით.

პიროჟკოვი: - მადლობას მოგახსენებ, შვილო ჩემო, მე მამა ალექსი ვარ.

პოგონია: - მე მატარებლის გამცილებელი ვარ, ლიუბა პოგონია.

პიროჟკოვი: - მშვენიერია... ლიუბა - სიყვარული, საეკლესიო სახელია. უფალს უყვარს ასეთი სახელები, ილოცეთ, შვილო ჩემო, უფლის მადლი გადმოვა თქვენზე.

პოგონია: - ვლოცულობ მამაო, ეკლესიაშიც ხშირად დავდივარ, ხან მარხვასაც ვიცავ.

პიროჟკოვი: - ასე იქცევიან ჭეშმარიტი ქრსიტიანები. მზად ხართ მომეხმაროთ? საჭიროა ყველაფერი კანონიერად აღვასრულოთ. აბა, წავიდეთ!

პოგონია: - თქვენი ხელმძღვანელობით მამა ალექსი, რა თქმა უნდა დაგეხმარებით, მაგრამ საეკლესიო წესებისა ბევრი არა გამეგება.

პიროჟკოვი: - ყველაფერს უფლის ნებითა და შეწევნით გავაკეთებთ. და გახსოვდეს ლიუბაშა, ბილეთი წითელ კუთხემდე მაქვს.

პოგონია: - არ ინერვიულოთ მამაო... ყველაფერს ჩინებულად შევასრულებთ. ამასობასი კი გთხოვთ მეოთხე კუპეში მობრძანდეთ, მიირთვათ, დალიოთ, რაც ღმერთმა მოგვცა.

პიროჟკოვი: - საღმრთო საქმეა. (პიროჟკოვი პოგონიას ეყრდნობა და არეული ნაბიჯებით შედის მითითებულ კუპეში).

პუგოვკინი: - ლოშა, ბოდიში, მამა ალექსი, ჩემოდანი დაგავიწყდათ.

პიროჟკოვი: - ხო, ჩემოდანი... (ეხვევა პუგოვკინს, შუბლზე ეამბორება) გაგვიღიმებს ბედი, ნიკანორ... შენ კი ოცი პროცენტი გერგება!

პოგონია: - რა ბრძანეთ, მამაო?

პუგოვკინი: - მამა ალექსის ხუმრობები მთელ ეპარქიაში არის ცნობილი.

როსტოვი-მოსკოვის მატარებელი სიჩქარეს უმატებს: პოგონია კუპეში ამარეტოს წრუპავს. ალტინოვი სწრაფად შემოდის.

ალტინოვი: - ახლა გამოაცხადე აუცქციონის შედეგები. ხალხი შეიძლება აღელდეს. თუ ძალიან აღშფოთდებიან, შეგიძლია იანა მატარებლის უფროსის კუპეში დამალო. სანამ ვნება არ ჩაცხრება და კიდევ, ყოველი შემთხვევისთვის იანასთვის პარიკი და გამცილებლის ფორმა... (აწვდის თანხას).

პოგონია: - სამასზე ნაკლებად უფროსი არ დათანხმდება.

ალტინოვი: (ჯიბეში უდებს) - აი, სამასი, შენთვის და არა მისთვის. უფროსისთვის წინასწარ გადახდილია. ის აუქციონის შედეგებს გამოაცხადებს. კარგი კაცია, მარშრუტი, რომელიც სუტირინმა გამოიცნო, ჩემსას დაემთხვა, ბოლო წუთს მომიწია მარშრუტის შეცვლა. ახლა მე ვარ გამარჯვებული!

პოგონია: (შეშფოთებული და დაბნეულია) - და რა გზით წავა მატარებელი?

ალტინოვი: - ეგ ჩემი და უფროსის პრობლემაა.

პოგონია (აღფრთოვანებით) - ალტინოვ, ნამდვილი ოსტატი ხარ და ქორწილი როდისაა?

ალტინოვი: - გარემოებათა მიხედვით. აუქციონიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ.

პოგონია: - მერე და მღვდელი ამდენ ხანს გაუძლებს?

ალტინოვი: - ძალიან მთვრალია?

პოგონია: - საკმაოდ.

ალტინოვი: - რაიმე საბაბით მოაშორე სასმელი. აუცილებლად უნდა გაძლოს.

პოგონია: -როგორ უნდა მოვახერხო? სასმელისთვის სულს გაყიდის.

ვაგონ-რესტორანი. დაძაბულობა მატულობს. დამსწრეთა შორისაა ალტინოვი და ვრუბელსკაია გამჭვირვალე ტოპრაკით.

მატარებლის უფროსი: - ძვირფასო მეგობრებო? ვორონეჟამდე მომხდარი დიდი ავარიის გამო, ჩენმა მატარებელმა მარშრუტი შეცვალა. ცხადია, ბოლო გაჩერება, როგორც ბილეთზეა მითითებული მოსკოვია. პენზას სადგურის ხელმძრვანელობა გაგვაცნობს ჩვენი მატარებლის საბოლოოს მარშრუტს: მოსკოვამდე გავივლით შემდეგი ქალაქის სადგურებს: წითელი კუთხე - არზამასი, ნიჟნი ნოვგოროდი - მოსკოვი. ექსპრეს ტოტალიზატორი მოიგო ბატონ ბოროდინის ვერსიამ. მან ზუსტად მიუთითა მატარებლის შემდგომი

გზა. ამის გადამოწმება ყველას შეუძლია. თამაშის არცერთ მონაწილეს არ დაუსახელებია ეს სადგურები. მოგების მთელი თანხა ასსამიათას ექვსას ორმოცდაათი ათასი დოლარი სამართლიანად ეკუთვნის ბატონ ბოროდინს. ქალბატონო ბიჩერსკაია - გთხოვთ, მოგება გადასცეთ გამარჯვებულს. გილოცავთ!

იანა ალტინოვს გადასცემს მოგებულ თანხას. რამდენიმე წამში შოკირებული აუდიტორია გონს მოდის. წარმოუდგენელ ხმაურში ისმის შეძახილები: - არასწორია, გაგვაცურეს! სად არიან... ეს... მაგრამ არც ვრუბელსკაია და არც ალტინოვი ვაგონ-რესტორანში აღარ ჩანან.

გამცილებლის ოთხში შევარდებიან ალტინოვი და ვრუბელსკაია.

ალტინოვი: - იანა უფროსის კუპეში ჩაკეტე! იანოჩკა, სასწრაფოდ გამოიცვალე ტანსაცმელი და გამცილებლის ფორმა მოირგე. დროებით არ გამოჩნდე.

პოგონია: - და როდის არის ჯვრისწერა? ყველაფერი მზად მაქვს.

ალტინოვი: - ორმოც წუთში!

პოგონია: - ერთადერთი, მღვდლის გამო ვშიშობ. მთვრალია.

ალტინოვი: - თვალი არ მოაცილო. მე კი აქ დავიმალები.

პოგონია და ვრუბელსკაია ტოვებენ კუპეს. კეტავენ კარს. ალტინოვი ათვალიერებს კუპეს და მეორე თაროზე თხელ ლეიბს შენიშნავს. ჩამოიღებს, ხსნის, მოგებულ თანხას შიგ ჩაყრის და თავის ადგილას აბრუნებს.

მატარებლის უფროსის კუპე. უფროსი და იანა პარიკსა და მუქ სათვალეში.

მატარებლის უფროსი: - ჩვენ, მგონი კარგი წყვილი ვართ, რას ფიქრობ, ლამაზო (ცდილობს იანას ჩაეხუტოს.)

ვრუბელსკაია: (იშორებს) - მოიცადეთ, უფროსო, ჯერ შოკიდან არ გამოვსულვარ.

მატარებლის უფროსი: - როდის გამოხვალ?

ვრუბელსკაია: - იქ გამოჩნდება.

ალტინოვი კუპეში შემოდის.

მატარებლის უფროსი: - გამარჯობა, თაღლითო, როდის გადაიხდი სრულად?

ალტინოვი: - ახლავე, რას უნდა დაველოდო? (აწვდის კონვერტს) დიდი აურზაური იყო?

მატარებლის უფროსი: - აურზაური და მერე როგორი, მაგრამ არანაირი სკანდალი და მუქარა არ ყოფილა. მე წესრიგისკენ მოვუწოდე. ვინ ვინ მოატყუა? სად არის მტკიცებულება? საბოლოოდ დამშვიდდნენ.

ალტინოვი: - მანდ კონვერტში პრემიაცაა დამატებით... თაღლითობისთვის. ახლა კი წავიდეთ, უფროსო, საქორწილო ცერემონიაზე. ჯვრისწერა მეთორმეტე ვაგონშია.

ვრუბელსკაია: (ჭირვეული ხმით) - მეც მინდა ქორწილში წასვლა.

ალტინოვი: - აქ იყავი, ყოველი შემთხვევისთვის.

მეთორმეტე ვაგონის კუპე მოწყობილია ჯვრისწერისთვის. პიროჟკოვი, პოგონია და მატარებლის უფროსი ელოდებიან ახლადშეუღლებულებს.

პიროჟკინი: - შვილო ჩემო, მამა ალექსის ერთი ყლუპი მაინც დაალევინე.

პოგონია: - ჯვრისწერის მერე თუნდაც მთელი ბოთლი შესვით.

ალტინოვი და იულია კუპეში შედიან. ორივეს სუნთქვა ეკვრის, ამას არ მოელოდნენ, ვერც კი წარმოედინათ. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს მართლაც ეკლესიაში შევიდნენ. რელიგიური გარემო ნუსხავს მათ, აღვიძებს მათ სულში აღდგომისა თუ შობის საამო მოგონებას. მამა ალექსი მიუთითებს წყვილს, დაიკავონ ადგილები. მარჯვნივ საქმროს, მარცხნივ - საპატარძლოს. „მღვდელი“ ანთებს ალისფერი და თეთრი ბაფთებით მორთულ კელაპტრებს. და ახალგაზრდებს ლოცავს შემდეგი სიტყვებით: სახელილთა მამითა, ძითა და სულიწმინდითა.. და სანთლებს გადასცემს. მღვდელი იღებს საცეცხლურს, მიბრუნდება მაცხოვრის ხატისკენ და მისკენ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს. ამას შემდეგ მოუბრუნდება ახალგაზრდებს, იღებს თასიდან ბეჭდებს და წყვილს აწვდის. იულია და ალტინოვი გამოართმევენ ბეჭდებს. იულია „მღვდელს“ შესცქერის და თვალთგან ცრემლი ცვივა. ალტინოვის სახეს ღიმილი ანათებს. თვალები უბრწყინავს. მას მოსწონს სპექტაკლი „ქორწილი“. უფალო, მომადლე მათ სიყვარული, მშვიდობა და დაიფარე ისინი განსაცდელისგან - გალობს მამა ალექსი. ყველა პირჯვარს იწერს. მამა ალექსი ახალდაქორწილებულებს გვირგვინს ადგამს და სამჯერ აკურთხებს: უფალო, დიდება შენდა, სახელითა შენითა ჯვარს ვწერ: წყვილს ნაკურთხ წითელ ღვინოს აწვდის, ნიშნად იმისა, რომ მათ დღეიდან უნდა იცხოვრონ ერთ სულ და ერთ ხორც სიხარულსა თუ გაჭირვებაში. კითხულობს დიდი ხნის წინ ნასწავლ ლოცვას „ანა კარენინიდან“ „სიყვარულის კავშირი გაქცევთ ერთ არსებად, ისააკისა და რებეკას კურთხევით, თქვენ დღეიდან ხართ იმ აღქმის მემკვიდრეები. ერთგულებაში გალიეთ სიცოცხლე და უერთგულეთ მოწყალე და მიმტევებელ უფალს.

დიდება შენდა მამაო, ძეო და სულიწმინდაო. დალოცე ჩვენი ახალშეუღლებულები უკუნითი უკუნისამდე, ამინ! „მამის“ მიერ შესრულებული ლოცვა ძლიერ განსხვავდებოდა იმისგან, რაც უკვე მოვისმინეთ პენზაში, მის პაწია საკანში, მაგრამ მსახიობის ნიჭი დაეხმარა.

არ გათიშულიყო, ზღვარს არ გადასულიყო და საქორწილო ცერემონია ბოლომდე მიეყვანა.

უეცრად დერეფანში ყვირილის ხმა გაისმა:

- მაგრამ სად არიან, არა, მე მათ ვიპოვი!

პოგონია: (შეშფოთებული) - ეს სუტირინია, ვერ დაწყნარდა.

მატარებლის უფროსი მტკიცედ გაემართა დერეფნისკენ.

მატარებლის უფროსი და სუტირინი

მატარებლის უფროსი: (მკაცრად) - რას ხმაურობთ, მოქალაქევ?

სუტირინი: - მე ვიპოვი იმ ავანტიურისტებს.

მატარებლის უფროსი: - არ გესმით (კუპედან საზეიმო საეკლესიო გალობის ხმა ისმის) იქ საეკლესიო რიტუალია, თქვენ კი რა ამბავში ხართ. დაბრუნდით კუპეში, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. სულ გამხეცდა ხალხი.

კუპეში კი პირაჟკოვს, რომელიც ქვედა სათავსოზე ჩამომჯდარა, თვალები ელულება და სადაცაა ხვრინვას ამოუშვებს.

პოგონია: („მღვდელს“ შეანჯღრევს) - წავიდეთ, მამაო, თვისუფალ კუპეში მოისვენეთ, წითელ კუთხემდე კიდევ ორი საათის მანძილია. ყველაფერი დროულად მოგვარდა.

ბოიაროვის კუპე

ალტინოვი: - იულია, ჩვენ გვაქვს თავშესაფარი და შესანიშნავი პერსპექტივა: გავტეხოთ კიდევ ერთი საწოლი.

იულიას ხელში აიტაცებს და ზეწრებში გახვეული ახალგაზრდები მეცხრე კუპეში უჩინარდებიან.

ნათდება. ალექსეი პიროჟკოვის კუპე. მას, როგორც ჩანს, არ ახსოვს რა მოხდა და სად იმყოფება. და უცებ მსახიობის თვალებში არაჯანსაღი, ცეცხლი იელვებს, თითქოს ციებ-ცხელება შეეყარაო. მას ეუფლება ავი ზნე, რომელსაც ვეღარ უმკლავდება. პიროჟკოვი იწყებს საკუთარი ნების საწინააღმდეგო მოქმედებას. სწრაფად განიძარცვავს მღვდლის ტანსაცმელს, საეკლესიო ჭურჭელს ჩემოდანში ინახავს და დერეფანში გარბის. ცდილობს გააღოს ერთი კუპე, მეორე, ყველა დაკეტილია, მხოლოდ მეექვსე კუპის კარებია ღია, რომელიც ალტინოვსა და იულიას დაუტოვებია. პიროჟკოვი კუპეში შედის და იწყებს ალტინოვისა და იულიას ნივთების შეგროვებას, ყველაფრის, რაც ხელში მოხვდება. დერეფანში გამოდის ჩემოდნითა და ტანსაცმლის გროვით, რაც მისთვის ძალიან მოუხერხებელია. გამცილებლის კუპე ღიაა. ლიუბას ღრმად სძინავს. პიროჟკოვი კუპეს ანთებული, მოელვარე თვალებით ათვალიერებს, დაინახავს ზედა თაროზე თხელ ლეიბს. კონდუქტორის გაღვიძების გარეშე, ჩუმად იღებს ლეიბს, შიგ ახვევს ტანსაცმლის გროვას და ვესტიბიულში გავარდება. მატარებელი სადგურ „წითელ კუთხესთან“ სვლას ანელებს.

მეცხრე კუპე. დილაა. ალტინოვმა და იულიამ ახლახანს გაიღვიძეს. სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს. კარზე ისმის კაკუნის ხმა: გახსენი იური, მე ვარ, პოგონია.

ალტინოვი: - შემოდი, ღიაა.

პოგონია შემოდის, ფერდაკარგულია, ხელები უკანკალებს.

ალტინოვი: - რა მოხდა, ძვირფასო ლიუბაშა?

პოგონია: - როგორც ჩანს, გამქურდეს... ჩემი მეექვსე კუპე ცარიელია, ლეიბიც კი წაუღიათ. ვის შეიძლება ეს ჩაედინა?

ალტინოვი: (ფიქრობს): - მართლაც ვინ უნდა ყოფილიყო? ნუთუ არავის დაუნახავს.

პოგონია: - რას ლაპარაკობ, იური?

ზეწარში გახვეული ალტინოვი კუპედან გამოდის და მაშინვე უკან ბრუნდება, ხელში ბიუსტჰალტერი და მამაკაცის წინდა უჭირავს.

ალტინოვი: - სულ ეს დაგვრჩენია ამ ცხოვრებაში, იულია.

იულია ატირდება. ალტინოვი გულში იხუტებს.

ალტინოვი: - ნუ ტირი, ჩემო გოგო, საქმე არც ისე ცუდადაა, არა, ყველაფერი მშვენივრადაა.

და უცებ ალტინოვი იწყებს ხარხარს.

პოგონია: (თანაგრძნობით) - ჭკუაზე შეიშალა...

ალტინოვი: - არა, ჩემო კარგო, ჯერ არ გამიფრენია. მაგრამ ჩვენ გვჭირდება ლეღვის ფოთლები. წადი ლიუბოშა რესტორანში, იქ ქოთანში ლეღვის ბუჩქია. რამდენიმე ფოთოლი მოგვიტანე, ეშმაკი მკარნახობს საოცარ სათავგადასავლო ისტორიებს და ღმერთი მეხმარება წყლიდან მშრალი ამოვიდე. ეს დიადი მინიშნებაა, დავიწყო ახალი ცხოვრება დედიშობილამ. ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დავიპყრობ სამყაროს. დარწმუნებული ვარ ჩემს დიად ბედისწერაში. აქვე მინდა გავიხსენო დიდი ნიცშე: მე ცხოვრება უფრო იდუმალი მეჩვენება, იმ დღიდან, როცა ჩემში დაიბადა დიადი

განმანთავისუფლებელი იდეა იმის შესახებ, რომ ცხოვრება შეიძლება იყოს სიახლეთა შეცნობა.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მთლად შიშვლები არ ვართ. გვაქვს ორი ზეწარი, ბალიშისპირები, საქორწილო ბეჭდები, და ტვინი. ეს ყოველივე შეიძლება იყოს შესანიშნავი დასაწყისი დედაქალაქის დასაპყრობად. აქ აშკარად არაპროფესიონალი იყო. უფრო მეტიც, მხოლოდ სუსტი ჭკუის ადამიანს შეუძლია მოიპაროს ტანსაცმელი და ძველი ლეიბი. დარწმუნებული ვარ, მან არც კი იცის, რომ ლეიბში ასი ათას დოლარზე მეტია. თუმცა ღმერთი იყოს მისი შემწე. მე კი უკვე დავიწყე ახალი პიესის წერა „ფასიანი ქაღალდი“. სპექტაკლმა უნდა შეარყიოს დედაქალაქი ბრწყინვალე ინტრიგებით და გრანდიოზული მოგებით. პირველი მოქმედება იწყება არზამასში. მატარებლიდან სადგურზე ჩამოდის ორი კრიშნაიდერი. ის - ბენიტო კოტი, იტალიელი მილიონერის ბატონ კოტის ვაჟი და წარმოშობით ისლანდიელი ჰენრიტა გუნარსონი, რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი იყვნენ კრიშნაიტთა ცენტრის გამოჩენილი მოღვაწენი და ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მიზნობრივ, ფინანსურ პროექტებს, მონაწილეობენ რუსეთის საფონდო ბირჟის განვითარებაში. რომის კრიშნას ცენტრიდან გამოჩენილი ადამიანების თანხლებით ჩამობრძანებულია იანა ვრუბელსკაია, საერთასორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი და ექსპერტი. არზამასში ვიზიტის მიზანია შეიქმნა ვოლგის ცენტრი კრიშნას სწავლების გასაცნობად. თუმცა ბატონი ბენიტო კოტი საფონდო ბაზრის განვითარების რეგიონალური პროექტებითაც არის დაინტერესებული. პატარა ქალაქებში კი, როგორც წესი ფასიან ქაღალდებთან მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის. კრიშნას ფონდი მზადაა დაფაროს ახალგაზრდა არზამასელების მომზადების ხარჯები ევროპის სხვადასხვა ცენტრებში. ცხადია, ისეთი ძალიერი პიროვნებისთვის, როგორიც ბენიტო კოტია, მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტებიც, როგორ დაუკავშიროს ის რუსეთის პროვინციულ ქალაქებს. ეს იქნება ქალაქის მერთან მოლაპარაკების ერთ-ერთი თემა. პიესის პირველი მოქმედების მთავარი ამოცანა იქნება დავაინტერესოთ ადგილობრივი ხელისუფლება, რათა მათ

რეკომენდაცია გაგვიწიონ დედაქალაქის რეფორმატორებთან. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბატონი ალეგაშენკო, განვითარების ცენტრის დირექტორი. ამ ფინანსისტის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ არაერთი ბანკის საგანძური. ჩვენს შორის ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ სისულელეებით არ უნდა ვისარგებლოთ, ასე რომ, წარმოდგენა იწყება. ზეწრები და ბალიშისპირები ერთადერთი შესამოსელია ჩვენი ახალი იერსახის მისაღებად. აქ სრულ თავისუფლებას ვაძლევ იულიას, გააკეთე ეს ძვირფასო, რაც უფრო მეტად დავემსგავსებით კრიშნას მიმდევრებს, მათ უფრო მალე მივიღებთ ახალი სპექტაკლის მაყურებელთა მქუხარე აპლოდისმენტებს. და იანა, სად არის იანა? პოგონია, სასწრაფოდ მომიყვანე აქ ვრუბელსკაია. არზამასი ახლოსაა!

ჩქარი მატარებელი „წყნარი დონი“ ნომერი ცხრა, როსტოვი-მოსკოვი-არზამის ვაგზალზე პირველ პლატფორმაზე ჩერდება. მეთორმეტე ვაგონიდან ბაქანზე ჩამოდის ორი მომლოცველი თეთრ ქსოვილში გამოწყობილნი, მათი ახლადგადაპარსული თავები ივნისის მზეზე მფრინავი თეფშებივით ბრწყინავს. მათ უკან მოჰყვება მკაცრად ჩაცმული ევროპული სტილის ულამაზესი ახალგაზრდა ქალი. გაისმის მისი მომთხოვნი ხმა: „სად არის ტრანსპორტი, რომელიც უნდა დაგვხვედროდა? სასწრაფოდ მიმოძებნეთ, ბატონებო ვაგზლის უფროსი. მერიაში დაგეგმილია შეხვედრა. შიძლება დაგვაგვიანდეს. არზამასში ჩამობრძანდა თავად ბენიტო კოტი!